

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

შორენა ბოლქვაძე

მემუარულ–ავტობიოგრაფიული დისკურსი

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში

სპეციალობა – ლიტერატურათმცოდნეობა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაციის

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ბათუმი – 2017

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა მახაჭაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა

კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი

შემფასებლები:

ზაზა აბზიანიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, შოთა

რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის

პროფესორი

მალხაზ ჩოხარაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ელგუჯა მაკარაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც.პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2017 წლის 7 ივნისს, 17 საათზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, აუდიტორია N37. სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკასა (ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35) და ამავე უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ასოც. პროფესორი ნანა ცეცხლაძე

საკვალიფიკაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ მხატვრულ–დოკუმენტურ პროზას, რომელიც ავტობიოგრაფიულ–მემუარულ დისკურსში გავაერთიანეთ.

ნაშრომში განვსაზღვრეთ მემუარების როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული თავისებურებები, გავანალიზეთ ტექსტების როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური მხარე, ვცადეთ დაგვედგინა მათი ადგილი ლიტერატურის განვითარების ისტორიაში, რამაც მოგვცა მემუარების ბელეტრისტული ჟანრის ევოლუციაში გააზრების საშუალება.

საკვლევი თემის აქტუალობა. მეოცე საუკუნის მსოფლიო მწერლობის მთლიანი სურათის წარმოსადგენად აუცილებელია მხატვრულ–დოკუმენტური ნაწარმოებების გააზრება ლიტერატურის კონტექსტში. ესენია ე. წ. Faction, მხატვრული ტექსტები, რომლებშიც ყველაფერი ზედმიწევნით შეესატყვისება სინამდვილეს: პერსონაჟები რეალურია, მოქმედების ადგილი არსებობს (ან არსებობდა), ფაქტები ავთენტურია და თარიღების გადამოწმება შესაძლებელია ბიოგრაფიების ან ისტორიის სახელმძღვანელოების დახმარებით. სხვა დანარჩენი წარმოსახვის ნაყოფია. გამოთქმა – „Faction“ – აგებულია სიტყვების თამაშზე: ინგლისური fact – ფაქტი, faction – გამონაგონი, ფიქცია, ბელეტრისტიკა. ამგვარ ტექსტებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მემუარებს – მწერლის შემოქმედებით ცნობიერებაში გადაწყვეტილ წარსულის მოგონებებს. გამოსახულის ნამდვილობა უზრუნველყოფს ნაწარმოების მიმართ მკითხველის გამძაფრებულ ინტერესსა და ემოციური აღქმის ხარისხს. მხატვრულ–დოკუმენტური პროზის უმნიშვნელოვანეს ღირსებას რეალური ფაქტის მხატვრულ–გამომსახველობითი ხერხების სიმდიდრესთან შერწყმა წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც ის მოქცეულია ნარატიულ ფორმაში, რომელიც იყენებს ბელეტრისტიკისთვის დამახასიათებელ ყველა ტექნიკურ ხერხს, თანაც რაც შეიძლება ახლოსაა ფაქტებთან. დღეისათვის არ არის დახარისხებული მწერლებისა და სხვა პროფესიის ადამიანების მიერ შექმნილი მემუარისტიკის კორპუსი. ძალიან მწირია კრიტიკაში იმის აღნიშვნა, თუ რა ურთიერთმიმართებაა მხატვრულ

ნაწარმოებსა და მემუარებს შორის, უფრო მეტი, ის არ განიხილება, როგორც მხატვრულ–დოკუმენტური პროზის სიმპტომატური მოვლენა.

ამ ეტაპისთვის მემუარული პროზის გამოკვლევები მცირერიცხოვანია, რაც ვერ იძლევა სრულ სურათს მის თემატიკასა და პოეტიკაზე. სპეციალური მონოგრაფიული შრომები, მიძღვნილი მემუარისტიკის პოეტიკისადმი, თითქმის არ არსებობს, უფრო მეტი, საერთოდ დაუმუშავებელია პოსტსაბჭოთა პერიოდის მემუარისტიკა. აქიდან გამომდინარე, აქტუალურია საკვლევო თემატიკა: აუცილებელია მემუარისტიკის შესახებ ცოდნის შევსება, გაღრმავება და სისტემატიზება.

ნაშრომის სიახლე და ძირითადი შედეგები. ნაშრომში მოცემულია ცდა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული მხატვრულ–დოკუმენტური, მემუარული პროზის შესწავლისა. როგორც აღვნიშნეთ, არ გაგვაჩნია ქართული ლიტერატურის სხვა პერიოდებში შექმნილი მემუარების შესახებ საფუძვლიანი და ვრცელი გამოკვლევა, მხოლოდ გარკვეული პერიოდია დამუშავებული (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით). ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა საანალიზო ეპოქის მემუარისტიკის მნიშვნელოვანი ასპექტები: ნარატიული სტრუქტურა, არსებითი პრობლემატიკა და ჟანრობრივი ტრანსფორმაციები, ასევე კოლექტიური და ისტორიული მეხსიერების საკითხები და სოციო–კულტურულ კონტექსტში გავანალიზეთ ქართული პროზის ეს საინტერესო კორპუსი.

ამრიგად, საკვალიფიკაციო ნაშრომში მოცემულია პირველი ცდა პოსტსაბჭოთა პერიოდის მემუარისტიკის შესწავლისა.

ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომმა შეიძლება დააინტერესოს მხატვრულ–დოკუმენტური პროზის მკვლევრები, სტუდენტები და ფართო მკითხველი საზოგადოება, ასევე ის გამოადგება ლიტერატურის თეორიის საკითხებით, მეხსიერების კვლევებით, კულტუროლოგიით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს აქსეოლოგიური მეთოდით შერჩეული ტექსტები პოსტსაბჭოთა მხატვრულ–დოკუმენტური პროზისა, კერძოდ: ვახუშტი კოტეტიშვილის „ჩემი წუთისოფელი“, გოგი გვახარიას „ცრემლიანი სათვალე“, ლევან

ბერძენიშვილის „წმინდა წყვდიადი“, სალომე ზურაბიშვილის „საქართველოსკენ“, თამაზ ჭილაძის „ოთართან ერთად“, გოდერძი ჩოხელის „გუდამაყრელი იები“, დავით ტურაშვილის „იყო და არა იყო რა“, „ტიბეტი არ არის შორს“, გურამ დოჩანაშვილის „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“, ბესიკ ხარანაულის „ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისთვის“, გელა ჩარკვიანის „ინტერვიუ მამასთან“, ფრიდონ ხალვაშის „ომრი“.

კვლევის მიზანი. ჩვენი კვლევის მიზანია მემუარული ჟანრის სპეციფიკის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოყოფა, ყურადღების გამახვილება პოეტიკის საკითხებზე – იმ მნიშვნელოვან მარკერებზე, რომლებიც მემუარებს მხატვრულ პროზასთან აახლოებს. კვლევა ასევე მოიცავს კულტუროლოგიის საკითხებს, მეხსიერების (memoris), კოლექტიური მეხსიერებისა და პოსტკოლონიური აზროვნების მიმართულებით.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომში ტექსტების ინტერპრეტაციის დროს გათვალისწინებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა. გამოყენებულია ისტორიულ–ფუნქციური, ტიპოლოგიური და სტრუქტურული მეთოდები ეპოქის ფილოსოფიური და სოციო–ფსიქოლოგიური ფონის გათვალისწინებით. ლიტერატურული ტექსტის ანალიზის საფუძველს, ძირითადად, ნარატოლოგიისა და ლიტერატურული ჰერმენევტიკის სინთეზი წარმოადგენს.

ისტორიულ–ფუნქციური მიდგომა ეყრდნობა თანამედროვე ისტორიულ პოეტიკას, რომელიც ლიტერატურული პროცესების კატეგორიებს ზოგად თეორიულ ჭრილში კი არ განიხილავს, არამედ იმ სახით, რა სახითაც არსებობს გარკვეულ ეპოქაში. ტიპოლოგიური მიდგომა მდგომარეობს ჟანრის ერთგვაროვანი ტექსტების გადარჩევაში.

აქსეოლოგიური მეთოდით მემუარების კვლევა საშუალებას გვაძლევს უპირატესობა მივანიჭოთ ერთ ნაწარმოებს მეორის მიმართ, ასევე გავითვალისწინოთ ჟანრის შიგნით ქვესახეობები.

ნაშრომის თეორიულ საფუძველებს წარმოადგენს ლიტმცოდნეობის, ფილოლოგიური ჰერმენევტიკისა და ნარატოლოგიის, აგრეთვე სემიოტიკისა და

დისკურსის თეორიის სფეროს ცნობილ მკვლევართა, მეხსიერების კვლევის თეორეტიკოსთა ნაშრომები, რომელთა შორისაა: მ.ბახტინის, ი.ლოტმანის, ჰ.გადამერის, ჟ.ჟენეტის, ა.ასმანის, რ.ბარტის, პ.ნორას, მ.ფუკოს და სხვათა კვლევები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს შესავალს, 6 თავს, 26 პარაგრაფს, დასკვნებსა და გამოყენებული ლიტერატურის სიას. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა შეადგენს კომპიუტერული ტექსტის 147 გვერდს.

კვლევის მიზნებმა და ამოცანებმა განაპირობა დისერტაციის შემდეგი სტრუქტურა:

შესავალი

თავი I – მემუარისტიკა და მისი კვლევის მეთოდოლოგია

§ 1. მემუარი და მისი სახეები

§ 2. ავტობიოგრაფიულ–მემუარული დისკურსი

§ 3. ჰერმენევტიკული ანალიზი

§ 4. ბახტინის თეორიები

§ 5. ნარატოლოგიური ანალიზი

§ 6. სემიოტიკური ანალიზი

თავი II – ქართული მხატვრულ–დოკუმენტური პროზის ისტორიის ზოგადი

მიმოხილვა

§ 1. მოგზაურობის ჟანრი ძველ ქართულ მწერლობაში

§ 2. ქართული მემუარისტიკის ანტიკოლონიური დისკურსი

§ 3. საბჭოთა მემუარისტიკის ზოგადი ტენდენციები

თავი III – პოსტსაბჭოთა პერიოდი და მემუარისტიკა

§ 1. პოსტსაბჭოთა ეპოქა

§ 2. პოსტსაბჭოთა მემუარული პროზის სახეები

§ 3. სათაურის პოეტიკა

თავი IV – ისტორიული დისკურსი მემუარისტიკაში

§1. წარსულის ასახვა მემუარისტიკაში

§2. ვახუშტი კოტეტიშვილის „ჩემი წუთისოფელი“

§ 3. გელა ჩარკვიანის „ინტერვიუ მამასთან“

თავი V - ეპოქის რეკონსტრუქცია

§ 1. გოგი გვახარიას „ცრემლიანი სათვალე“

§ 2. ლევან ბერძენიშვილის „წმინდა წყვილი“

§ 3. თამაზ ჭილაძის „ოთართან ერთად“

§ 4. დათო ტურაშვილის „იყო და არა იყო რა“ (ისტერიული რომანი)

§ 5. დიდი ქალაქების სემიოტიკა (საბჭოთა რეალობის რეკონსტრუქციისათვის)

§ 6. ფრიდონ ხალვაშის „ომრი“

§ 7. ქართულ–სომხური ურთიერთობების დისკურსი

თავი VI – პოსტმოდერნისტული მემუარისტიკა

§ 1. პოსტმოდერნიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა

§ 2. გურამ დოჩანაშვილის „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“

§ 3. ბესიკ ხარანაულის „ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისთვის“

ძირითადი დასკვნები

გამოყენებული ლიტერატურის სია

თავი I – მემუარისტიკა და მისი კვლევის მეთოდოლოგია

§1. მემუარი და მისი სახეები: მემუარი, თანამედროვე ლიტერატურის თეორიის კლასიფიკაციით, დოკუმენტური ეპიკური ჟანრების სპექტრშია მოქცეული. მას განმარტავენ როგორც ეპიკური ჟანრის პუბლიცისტურ ნაწარმოებს. აღნიშნულია, რომ, მხატვრული ლიტერატურისგან განსხვავებით, მემუარებს შემეცნებითი ფუნქცია აკისრია. „მემუარები (ფრანგ.memoiret – მოგონება) ეპიკური ჟანრის პუბლიცისტური ნაწარმოებია. მათში გადმოცემულია წარსულის ამბები, რომელთა მონაწილე ან თვითმხილველი თავად ავტორი იყო“– ასე განიმარტება მემუარები ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოში. მემუარების შემეცნებით ფუნქციას განსაზღვრავს ის, თუ რას ანიჭებს უპირატესობას ავტორი: პირადი, ავტობიოგრაფიული ეპიზოდების აღწერას თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენების გადმოცემას.

მემუარების ერთ–ერთ ჟანრად გამოყოფენ მოგონებებს. მათში ავტორი გარკვეული იდეური კონცეფციის თვალსაზრისით გადმოგვცემს კონკრეტული დროის მონაკვეთში მომხდარ მოვლენებს, ანალიზებს მათ.

მოგზაურობა დოკუმენტურ–ეპიკური ჟანრებიდან ერთ–ერთია. ეს არის ნაწარმოები, რომელშიც გადმოცემულია მოგზაურობის ამბავი: ჩვეულებრივ შედეგა ავტორისეული აღწერის, თხრობისა და მსჯელობისაგან. მოგზაურობა ორგვარია: როდესაც ავტორი თავად მოგზაურობს და ქმნის დღიურებს ან მემუარებს, შესაბამისად, საინტერესოა და არა მხოლოდ ლიტერატურული თვალსაზრისით, არამედ – ინფორმაციულადაც; ამავე ჟანრისაა ნაწარმოებები, რომელთა სიუჟეტი და კომპოზიცია აგებულია რეალური მოგზაურობის აღწერის ფორმით.

დოკუმენტურ–ეპიკურ ჟანრთა შორისაა ავტობიოგრაფიაც, რომელიც გამოირჩევა იმით, რომ თხრობის ცენტრს აუცილებლად პიროვნება წარმოადგენს და არა – ზოგადად სინამდვილე. ავტობიოგრაფიას, რომელიც მწერლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხის ჟამს არის დაწერილი, აღსარება ეწოდება.

მემუარები დოკუმენტურ–ეპიკური ჟანრების ციკლში განიხილება ნარკვევის, ბიოგრაფიის, ავტობიოგრაფიისა და მოგზაურობის გვერდით. სპეციალურ

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მემუარები უსიუჟეტოდ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს წარსულის მნიშვნელოვან ამბებს, რომელთა მონაწილე თვით ავტორია. მემუარის დამახასიათებელი ნიშანია თხრობა პირველი პირით და მასში აუცილებელია დოკუმენტური ნამდვილობის დაცვა. თემატურად მემუარი მრავალგვარია.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დოკუმენტური პროზისთვის პრიორიტეტული გახდა რეალობის მხატვრული ასახვა, მოძველდა უკვე არსებული და დღეისათვის არ გაგვაჩნია ამ ჟანრების თანამედროვე მწერლობაზე მორგებული მკაფიო კლასიფიკაცია, არადა, პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიქმნა მემუარული პროზის სახეობათა სპექტრი. თუკი ამ დრომდე ძირითადად გვექონდა მოგონებების ქრონოლოგიურ ქარგაზე აკინძული ავტობიოგრაფიული შინაარსის თხზულებები, ახლა უკვე გვაქვს ფრაგმენტული, ესეისტური, ინტერვიუს ფორმატით წარმოდგენილი, ფიქციის, ისტორიული მეტაპროზის ტექნიკით შესრულებული, დოკუმენტური მასალის მხატვრული გადამუშავებით მიღებული სუბიექტური ვერსიები. საკვლევი მასალის არაერთგვაროვანი ფაქტურა კვლევის სხვადასხვა მეთოდის მოსინჯვასა და მორგებას საჭიროებს ამ სახის ლიტერატურის დახარისხებისა და სისტემატიზებისათვის (ამით ვამართლებთ კვლევის მეთოდების სიმრავლეს).

§2. ავტობიოგრაფიულ–მემუარული დისკურსი: დისკურსის თეორია ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში გასულ საუკუნეში დამკვიდრდა. სამეცნიერო და ყოველდღიურ კომუნიკაციაში დისკურსის ცნება სხვადასხვაგვარად გაიგება და განსხვავებულ მნიშვნელობასთან ასოცირდება; დისკურსი, როგორც ტერმინი, დაკავშირებულია ლიტერატურათმცოდნეობით, ენათმეცნიერულ და საკომუნიკაციო მეცნიერებათა მიმართულებებთან. დისკურსის ფენომენი აერთიანებს თეორიებს, კონცეფციებსა და მეთოდებს. დისკურსში თავმოყრილია როგორც ენობრივი, ისე არაენობრივი ქმედებები. ის ერთგვარი რეზერვუარია, სადაც გვხვდება კონკრეტული გამონათქვამები, რომლებიც დისკურსულ ფორმაციებს მიეკუთვნებიან. ის შეიცავს საზოგადოებრივი ინსტიტუციებისაგან სანქცირებულ გამონათქვამებს და გავლენას ახდენს საზოგადოების აზროვნებაზე, ქცევებსა და ღირებულებებზე. მხატვრულ–დოკუმენტური (ავტობიოგრაფიული) პროზის

განვითარებაზე გარკვეულ ეპოქებსა თუ კულტურებში სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები მოქმედებს. საქართველოს ისტორიამ და პოლიტიკურმა სიტუაციამ ამ ჟანრის ლიტერატურას ესთეტიკური ფუნქციის გარდა, სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვაც მიანიჭა.

§3. ჰერმენევტიკული ანალიზი: მემუარი, რომელსაც მხატვრული ღირებულება გააჩნია, გაცილებით მეტი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, ვიდრე მხატვრულ ღირებულებას მოკლებული ტექსტი. ავტორი და მკითხველი მემუარული ლიტერატურის კვლავწარმოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ამის გათვალისწინებით კვლევის მეთოდად ვირჩევთ ლიტერატურულ ჰერმენევტიკას, კერძოდ, ავტობიოგრაფიულ-მემუარული პროზისთვის მორგებულად მივიჩნევთ ინტერპრეტაციულ მოდელს: ჰანს გეორგ გადამერის კონცეფციას. ძირითადად ვეყრდნობით ს. პოსტერისა და ჯ. რობინსონის ნაშრომს, რომელშიც დეტალურად და კომპლექსურად არის შესწავლილი ჰერმენევტიკულ მიმართულებათა კონცეფცია და ისტორია.

ჰერმენევტიკულ ტრადიციაში გამოიყოფა სამი მნიშვნელოვანი ნაკადი: **ფილოსოფიური, ლინგვისტური და ლიტერატურული.**

ჰერმენევტიკის ფილოსოფიური კონცეფციიდან გამომდინარე, ლიტერატურული ტექსტი ცვალებადია და არ წარმოადგენს დასრულებულ პროდუქტს. ავტორის მიზანი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მიღწეულად, როცა მკითხველი მზადაა, მიიღოს და გაიაზროს ის. მემუარისტიკა, თავისი ესეისტური ბუნებიდან გამომდინარე, დროთა კავშირის აღდგენის პერსპექტივის მოთხოვნით, ინტერაქციული ხასიათისაა. ჰერმენევტიკის მეთოდოლოგია მიმართულია ამ პროცესის რეფლექსიისაკენ. ინტერპრეტატორის ხედვის ჰორიზონტი მუდმივად ესაზღვრება ტექსტის ჰორიზონტს და მასთან უწყვეტ დიალოგს აწარმოებს. ინტერპრეტატორი შეკითხვებს უსვამს ტექსტს და პირიქით, ტექსტი უსვამს შეკითხვებს ინტერპრეტატორს.

ამრიგად, ტექსტის ინტერპრეტაცია გადამერისთვის არის მუდმივი დიალოგი აწმყოსა და წარსულს შორის, სადაც აწმყოს განსაზღვრულობა მხოლოდ წარსულის მიღმაა შესაძლებელი. მემუარული ტექსტის ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს

სწორედ დროითი დისტანცია განსაზღვრავს. ინვარიანტულია აღქმა იმასთან მიმართებით – ავტორის თანამედროვე კითხულობს ტექსტს თუ სხვა თაობის წარმომადგენელი. ხშირ შემთხვევაში ამ ფაქტორს თვით ავტორებიც გრძნობენ და ითვალისწინებენ, ამიტომაც ჩაურთავენ ხოლმე მითითებებს, აფიქსირებენ საკუთარ პოზიციებს ინტერპრეტაციის სასურველ კალაპოტში მოქცევის მიზნით. პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის გადანაცვლების პროცესს ერთი კულტურულ–ისტორიული კონტექსტიდან მეორეში.

§ 4. ბახტინის თეორიები: მემუარისტიკის კვლევის მთავარ გამოწვევად ჟანრის განსაზღვრა მივიჩნით, რადგან მემუარი, მთელი რიგი მახასიათებლებით, სწორედ რომანთანაა ახლოს, საინტერესოა **ბახტინის** კონცეფციების მიმართება მემუარისტიკასთან. ბახტინმა, როგორც ვიცით, ჟანრის კვლევის მეთოდოლოგია სწორედ რომანის საფუძველზე შეიმუშავა.

ბახტინმა ფორმალისტების მიერ ჟანრის შიდალიტერატურული კანონებით გამყარებული კონსტრუქცია დიაქრონულ პერსპექტივაში განიხილა, როგორც პერმანენტულად ქმნადი სისტემა, რომელიც იცვლება კონკრეტული ეპოქისათვის ნიშანდობლივი ისტორიული და კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით.

ბახტინის აზრით, სიტყვის ხელოვნების შესწავლა ჟანრს, როგორც გამოთქმათა გარკვეულ ტიპს, წარმოგვიდგენს. გამომდინარე იქიდან, რომ ყოველ ეპოქას სხვადასხვა სათქმელი და თვითგამოხატვის მანერა გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ იმავე ეპოქის ენობრივ სივრცეში რჩება, ჟანრი სიტყვის ფორმას წარმოადგენს.

ის, რომ ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული ჟანრებს შეისწავლიდნენ მათი ლიტერატურულ–მხატვრული სპეციფიკის ჭრილში და არა როგორც გამოთქმათა გარკვეულ ტიპებს, ბახტინს კვლევის მეთოდოლოგიურ ნაკლოვანებად მიაჩნდა.

ბახტინის თეორიაში დისკურსის სოციალურობის იდეა დაუკავშირდა ჟანრის იდეას, რადგან ჟანრი გვევლინება სოციალურ სტრუქტურად, რომელიც შეუქცევად დამოკიდებულებაშია ინდივიდუალურ ტალანტთან.

§ 5. ნარატოლოგიური ანალიზი: ლიტერატურული ტექსტის კვლევა რთული პროცესია, ამის გამო გავითვალისწინეთ კომპლექსური ლიტერატურათმცოდნე

ობითი მიდგომა. ნარატოლოგიური ტერმინებისა და თეორიების გამოყენებისას ძირითადად ვყვრდნობით ჟ. ჟენეტის ნაშრომს „ნარატიული დისკურსი“ და მ. იანსს, რომელიც ნარატოლოგიაში დაგროვილ თეორიულ კვლევებს კომპლექსურად აერთიანებს.

ნარატოლოგიის ძირითადი ცნებებია სიუჟეტი და ფაბულა. ფაბულა – მოვლენათა თანმიმდევრულობა, როგორც ის „სინამდვილეში მოხდა“, სიუჟეტი კი – ის, თუ როგორ ყვებიან მის შესახებ ტექსტში. ის, რასაც ყვებიან, ისტორიის ცნებაში ფიქსირდება, თუ როგორ ყვებიან, ამას დისკურსის ცნება აღნიშნავს, ამავე დროს, დისკურსი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „სიუჟეტი“.

ტრადიციულად გამოყოფენ I და III პირის მთხრობელს, რასაც არ იზიარებს ჟ. ჟენეტი. მისი აზრით, მწერლისათვის მნიშვნელოვანია არა გრამატიკული ფორმა, არამედ თხრობის პოზიცია.

მემუარისტული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია ავტორ–პერსონაჟის პერსპექტივით თხრობა და ნულოვანი ფოკალიზაცია. სწორედ რომელიმე ავტორ–მთხრობელ–პერსონაჟის პერსპექტივა განსაზღვრავს ნაწარმოების ენასა და სტილს.

XX საუკუნის თხრობით ტექსტში განსაკუთრებით აქტუალურია პერსონაჟისა და მთხრობლის მეტყველება, კერძოდ, მეტყველების, ფიქრისა და ცნობიერების, ასევე მენტალური პროცესების რეპრეზენტაცია, ამიტომაც პოპულარულია შინაგანი მონოლოგი. ის ხშირად გვხვდება ავტობიოგრაფიულ პროზაში, რაც პერსონაჟის წარსული ფიქრებისა და შინაგანი მდგომარეობის ჩვენებაა დროითი ინტერვალის გათვალისწინებით.

§6. სემიოტიკური ანალიზი: მემუარული ტექსტების ჟანრული სპეციფიკის ასახსნელად მნიშვნელოვნად მივიჩნით ტექსტუალური კოდების სემიოტიკური კონცეფცია. ტრადიციულად სემიოტიკის განმარტება იწყება ნიშნის დახასიათებით. ფ. დე სოსიურის თანახმად, ნიშანი შედგება ორი კომპონენტისაგან: აღსანიშნი (იდეა, კონცეფცია) და აღმნიშვნელი (აკუსტიკური ხატი, ჟღერადობა); სწორედ მათი მთლიანობა ქმნის ნიშანს. სემიოტიკის თეორიის თანახმად, ნიშნები ჩვენ გარშემო არსებული საგნების, სამყაროს რეპრეზენტაციაა. ადამიანი რეალობას მხოლოდ ამ

ნიშნების მეშვეობით აღიქვამს. ნიშნები გვჭირდება გარკვეული ინფორმაციის გადასაცემად. ნიშანთა ნებისმიერი კავშირი ინფორმაციის გადაცემას ვერ უზრუნველყოფს. შეტყობინების გადაცემა ნიშანთა კოდირებულ სისტემას შეუძლია, სადაც ნიშნები გარკვეული წესების მიხედვით ერთიანდება. სემიოტიკის თეორიაში ტექსტის შექმნასა და ინტერპრეტაციაში კოდს დიდი მნიშვნელობა აქვს. ტექსტის შექმნა კოდირებაა, ხოლო ტექსტის აღქმა კოდების ამოცნობითა და მათი დეკოდირებით ხდება. ამრიგად, ლიტერატურული ტექსტი, როგორც ობიექტი, თავის თავში გულისხმობს კონკრეტულ კოდს ან კოდებს, რომელთა გაშიფრვით მიიღწევა გაგება. ჟანრის მახასიათებლების გათვალისწინება გვეხმარება ნაწარმოებების ინტერპრეტაციის პროცესში.

თავი II – ქართული მხატვრულ–დოკუმენტური პროზის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა

§1. მოგზაურობის ჟანრი ძველ ქართულ მწერლობაში: ზოგადად დოკუმენტური პროზის აქტუალიზება დაკავშირებულია ეპოქალურ კრიზისებთან, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ცვლილებები ადამიანში საკუთარი თავის პოვნის, სახელის აღბეჭდვის ამბიციას ბადებს. შთამბეჭდავი ისტორიული ქრონიკების იმპულსით გაჩენილმა თვითგამოხატვის ჟინმა განსაზღვრა ის, რომ მწერალს აღარ სურს დარჩეს ნეიტრალურ, უპიროვნო მემატთანედ და ქმნის მემუარულ ნაწარმოებს ინდივიდუალური, უნიკალური მანერით.

სულხან–საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ ქართული სამოგზაურო – მემუარული ხასიათის ძეგლთა შორის უძველესია და მხატვრული ღირებულებითაც გამორჩეული. თხზულებას სრული სახით არ მოუღწევია. ტექსტი იწყება საფრანგეთიდან გამომგზავრებით და მთავრდება სამშობლოში დაბრუნებით. რადგან საბას სამოგზაურო ტერიტორია მხოლოდ ევროპით არ შემოიფარგლება, სათაური – „მოგზაურობა ევროპაში“ – არაა სავსებით ზუსტი.

თხზულება დღიურის სახით არის ჩაწერილი. სულხან–საბამ ქართულ მწერლობაში დაამკვიდრა მანამდე უცნობი ლიტერატურული ჟანრი – მხატვრულ–დოკუმენტური პროზა. შემდგომში საბას მრავალი მიმდევარი გაუჩნდა.

სამოგზაურო–მემუარული ნაწარმოებები დაგვიტოვეს, ასევე, ტიმოთე გაბაშვილმა, იონა გედევანიშვილმა, გიორგი ავალიშვილმა.

სულხან–საბასთვის მნიშვნელოვანი იყო, შეეკრიბა ინფორმაცია ევროპის შესახებ, ამ ჟანრში მოღვაწე XVIII საუკუნის ორმა ავტორმა: **ტიმოთე გაბაშვილმა და გიორგი ავალიშვილმა** ყურადღება ჩვენი ისტორიული წარსულის უმნიშვნელოვანეს სივრცეს – ქრისტიანულ აღმოსავლეთს მიაპყრეს. მათ მიერ შექმნილი თხზულებები წარმოადგენს ძვირფას წყაროებს, რომლებიც მოგვითხრობენ ქართველთა მოღვაწეობისა და მათი კულტურულ–პოლიტიკური კავშირების შესახებ აღმოსავლეთში. XVIII საუკუნის ცნობილი მოღვაწის, ევროპეიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის, გიორგი ავალიშვილის სამოგზაურო–მემუარული ჟანრის თხზულება, დღიურები – **„მგზავრობაი თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა; უკუქცევაი იერუსალიმით თბილისისადმივე კიპრის ჭალაკისა, მცირისა აზოსა და ანატოლიისა ძალით“** – ერთადერთი ავტოგრაფიული ხელნაწერითაა შემონახული. ეს უაღრესად საინტერესო ხელნაწერია თავისი შედგენილობითა და მიზანდასახულობით. იგი შეიცავს ეკლესია–მონასტრების, სიძველეთა აღწერას, წარმოგვიდგენს დაკვირვებებს ხალხთა ზნე–ჩვეულებებზე, რელიგიურ ურთიერთობებზე, გვაწვდის ცნობებს სხვადასხვა დასახლებული ადგილის შესახებ. იგი შეიცავს იერუსალიმის ფერად რუკას, გეოგრაფიულ სახელთა საძიებელს, გეგმებს.

სამოგზაურო–მემუარულ ჟანრს შეგვიძლია მივაკუთვნოთ XIX საუკუნის რომანტიკოსი პოეტის, **გრიგოლ ორბელიანის**, პროზაული ქმნილება **„მოგზაურობა ტფილისიდან პეტერბურღამდე“**. სტრუქტურულად ნაწარმოები წარმოადგენს დღიურებს. თხზულებას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს ის, თუ რა თემატიკას ხდის თხრობის საგნად მოგზაური. საინტერესოა გრიგოლ ორბელიანის დასმული აქცენტები. ავტორისეული მსოფლადქმა ნათლად გვიჩვენებს მის მამულიშვილურ ხედვასა და შემოქმედებით ალღოს.

როგორც ვხედავთ, მემუარული ჟანრის ქმნილებები საინტერესო მასალაა ინტერდისციპლინური კვლევისათვის. ის მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია,

პირველ რიგში, ისტორიკოსებისთვის, ასევე ეთნოგრაფებისა და გეოგრაფებისთვისაც.

§2. ქართული მემუარისტიკის ანტიკოლონიური დისკურსი: იმპერიის შემადგენლობაში მყოფი პატარა ერებისთვის ანტიკოლონიური ბრძოლის პროცესში მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა ეთნოისტორიას. მემუარისტიკა, ისტორიულ პროზასთან ერთად, ეთნოისტორიას, მეხსიერების პოლიტიკის მექანიზმის გამოყენებით, კოლექტიურ მეხსიერებად აქცევდა. ქართული კულტურის შემთხვევაში ისტორიულმა პროზამ მძლავრი ანტიკოლონიური და ნაციონალური ღირებულება შეიძინა, ასევე უნდა აღინიშნოს მემუარისტიკის როლი და დამსახურება ამ მიმართულებით.

ანტიკოლონიურ დისკურსში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია **ალექსანდრე ორბელიანის „მემუარები“**. თავის თავგადასავალში მწერალი ოსტატურად აქსოვს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს. ამ მხრივ იგი წარმოადგენს არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებს, არამედ საინტერესო წყაროსაც მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ყოფის შესასწავლად.

1832 წლის შეთქმულების კიდეც ერთი მონაწილისა და XIX საუკუნის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის **დიმიტრი ყიფიანის** მემუარები აგრძელებს ამ ციკლს.

„მოგონებანი“ ავტორის მიერ რუსულ ენაზე დაიწერა, ხოლო შემდგომ ის ქართულად მის შვილს, სახელოვან მსახიობს, კოტე ყიფიანს და რძალს, ნინო ტატიშვილს, უთარგმნიათ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირ შემთხვევაში მემუარები სრულფასოვანი მხატვრული ღირებულების ქმნილებად გვევლინება. ქართულ ლიტერატურაში ჩვენ მოგვეპოვება ისეთი ბელეტრისტული ნაწარმოებები, რომლებზეც რთულია ერთმნიშვნელოვნად თქმა: მემუარულ–ავტობიოგრაფიული სახის პროზაული ნაწარმოებია თუ მოთხრობა – ავტობიოგრაფიული ელემენტებით. მხედველობაში აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ და კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცი“

გვაქვს. ლიტერატურული პორტრეტის ხატვის უბადლო ხელოვნებით შექმნილი აკაკის მშობლების სახეები კონტრასტის დიდებული ნიმუშებიცაა.

ქართული მემუარისტიკის კლასიკადაა აღიარებული დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“. ეს არის მემუარი, რომელიც შეიცავს განუმეორებელ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ცნობებს ეპოქის ისტორიული მოვლენების შესახებ, ამასთან, გააჩნია მხატვრული ღირებულება.

ქართული მემუარების სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: მათთვის არაა დამახასიათებელი სიუჟეტური ხაზის ურღვევობა (მიუხედავად იმისა, რომ მემუარისტიკის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რომანის, როგორც ჟანრის პოპულარობაზე); მაგრამ თუ ჩვენ საანალიზოდ ავიღებთ აკაკი წერეთლის „ჩემს თავგადასავალს“ და დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“, დავრწმუნდებით, რომ ყოველი თავი, ჩანახატი, ნოველა, ლიტერატურული პორტრეტი – რაც მოქცეულია ტექსტში, აკინძულია ნაწარმოების იდეაზე, თემატურ ლაიტმოტივზე. ამ შემთხვევაში ჩვენი კლასიკოსების სატკივარი ცარისტული პოლიტიკა და ქვეყნის კოლონიური მდგომარეობაა. აკაკის მიერ აღწერილი რუსიფიკატორული განათლების სისტემა, დავით კლდიაშვილის მიერ რუსი პოლიცმაისტერებისა და სადამსჯელო რაზმების სისასტიკე ბათუმის გაფიცულ მუშათა მიმართ, პირუთვნელი პუბლიცისტების პოზიციაა და ეპოქის მხატვრული ხატიც.

§3. საბჭოთა მემუარისტიკის ზოგადი ტენდენციები: ისტორიის ფალსიფიცირების გამო საბჭოთა ეპოქის მემუარული ნაწარმოებები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებსაც დღის სინათლე მხოლოდ წითელი იმპერიის დაშლის შემდეგ ეღირსათ, უნიკალური მასალაა ისტორიის რესტავრაციისათვის, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთ გადარჩენილ ნივთმტკიცებას წარმოადგენს.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო „მოგონებათა“ მკაცრი კონტროლი, რითაც ადამიანის სუბიექტური მეხსიერება იდეოლოგიის იმპერატიულობას დაუქვემდებარა. მოგონებები ხელსაყრელი აღმოჩნდა როგორც საბჭოთა ხელისუფლების ლეგიტიმაციის, ასევე ისტორიის საბჭოთა თარგზე გადაწერისთვის. ამ პერიოდის მემუარისტიკაში სუბიექტივიზმის გამოცდილება – საფუძველი

მემუარული ჟანრისა – საბჭოთა ოფიციალური ისტორიისადმი დაქვემდებარების გამო პარალიზებული იყო. საბჭოთა პერიოდის მემუარისტიკა „ინდუსტრიალიზაციის“ სამირკველს დაეფუძნა. ცალკე გამოდიოდა სამხედროების მემუარები, ინჟინრების, მშრომელების და სხვა. ეს მოგონებები აგებული იყო ბინარული ოპოზიციის კანონებით: ცუდი და კარგი (სანიმუშო). ამრიგად, მემუარული ჟანრი საბჭოთა ხელისუფლების სრულ მორჩილებაში აღმოჩნდა. ვერც ხრუშჩოვის „დათბობის“ მოკლე პერიოდმა გაათავისუფლა ის „ხელისუფლების ხმისგან“.

დისიდენტების მოგონებებიც მემუარისტის პირადი გამოცდილების მთავარ ამოცანას მისდევდა – ოფიციალურ საბჭოთა დისკურსთან კონფრონტაციას. „გარდაქმნის“ პერიოდის მემუარისტიკამ დათრგუნა თავისი მკითხველი უახლესი წარსულის მსხვრევით. თუმცა წარსულის მსხვრევის ფენომენი არ იყო მხოლოდ საბჭოთა რეალობა.

ისტორიის მსხვრევა გასული საუკუნის 80–იანი წლების ბოლოს საყოველთაო ტენდენციად იქცა. მას შემდეგ, რაც მზის სინათლე იხილა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა დანაშაულების არქივებმა, შეირყა რწმენა შვეიცარიის ბანკების კეთილსინდისიერებისა და ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტის შესახებ. მკითხველის ინტერესი ეპოქალურისა და გამოგონილის მიმართ გადაიზარდა, უფრო ზუსტად, დაკმაყოფილდა სურვილით – გაეგო კონკრეტული და ცოტა.

ამ მემკვიდრეობის გათვალისწინებით პოსტსაბჭოთა მემუარისტიკა, განსაკუთრებით მისი პოპულარული ნაწილი, ნაცვლად დოკუმენტური, უსუბიექტო, უპიროვნო „სიმართლისა“, პირველად სთავაზობს მკითხველს პირად ისტორიას, ინდივიდუალურ ფაქტს.

პოსტსაბჭოთა პერიოდის მემუარულ პროზაზე მსჯელობის დროს გასათვალისწინებელია ანტიკოლონიური და პოსტკოლონიური ნაციონალიზმი.

ანტიკოლონიური ნაციონალიზმის დასახასიათებლად დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში აქტიურად გამოიყენება ცნება პოსტკოლონიური კრიტიკა. კოლონიალიზმი გარკვეული თემების გააქტიურებას იწვევს, ასეთ დროს

ლიტერატურა მხოლოდ ესთეტიკური ფენომენი არ არის, მას იდეოლოგიური დატვირთვაც აქვს. პოსტკოლონიურ კრიტიკაში აქცენტირებულია ანტიკოლონიური, კოლონიზატორული და პოსტკოლონიური იდეოლოგიების როლი ლიტერატურულ ტექსტებში.

პოსტკოლონიური კრიტიკა სოციოკრიტიკული დისკურსია, რომლის მიზანი ლიტერატურული ტექსტის კონტექსტუალიზაციაა. პოსტკოლონიურ კრიტიკაში აღნიშნულია, რომ ლიტერატურა არა მხოლოდ ასახავდა ნაციონალურ ინტერესებს, არამედ თავადაც მონაწილეობდა ამ თვალსაზრისების ფორმირებაში. ეროვნული მოძრაობები ლიტერატურას იყენებდნენ წარსულის გაცოცხლების მიზნით. ბუნებრივია, ამ პროცესში აქტიურად გამოიყენებოდა მეხსიერების პოლიტიკა.

თავი III – პოსტსაბჭოთა პერიოდი და მემუარისტიკა

§1. პოსტსაბჭოთა ეპოქა: მეოცე საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საქართველოსთვის ურთულესი პერიოდი დაიწყო. ქვეყანამ მოიპოვა სახელმწიფოებრიობა და ორასწლიანი კოლონიური ცხოვრების შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფო სუბიექტად განაგრძო არსებობა. კოლონიური ყოფა განსაკუთრებული სირთულეებით ხასიათდებოდა, შინაგანი თუ გარეგანი კონფლიქტებითა და წინააღმდეგობებით. ამ ცვლილებამ სოციო-კულტურული ცხოვრების ზოგად სურათთან ერთად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ შექმნილი ლიტერატურული ტექსტების ფაქტურაც შეცვალა. თანდათან დაიძლია კულტურული იზოლაცია, რამაც ლიტერატურაში თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობის შესაძლებლობა გააჩინა. „ქართული ლიტერატურა, სრულფასოვანი წევრის სტატუსით, დაუბრუნდა საერთაშორისო ლიტერატურულ სარბიელს, რაც, პირველ ყოვლისა, ლიტერატურული მემკვიდრეობისა და ფორმის მრავალფეროვნებაში გამოიხატა“ – წერს პროფესორი ირმა რატიანი.

მემუარისტიკა, როგორც ასეთი, ლიტერატურისთვის ახალი მოვლენა არ არის, ის ანტიკური ხანიდან ლიტერატურული პროცესების თანამდევია. დოკუმენტური პროზა ძალაუნებურად იქმნებოდა როგორც დამხმარე მასალა, შემდგომში მხატვრული ნაწარმოების საშენ მასალად. პოსტსაბჭოთა პერიოდის ლიტერატურული დეკადანსი შემოქმედებითი ენერჯის კრიზისით იყო

გამოწვეული, თუმცა ამ გარემოებამ შექმნა სხვა რეალობა, მომრავლდა – დოკუმენტური, აღწერითი პროზის ნიმუშები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ისტორიული ნარატივების სიუხვე და ჟანრობრივი მოდიფიკაციები ჩვენი მწერლობის ახალი ეტაპის მახასიათებლებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

საბჭოთა კავშირის დაშლა თანამედროვე მსოფლიოსთვის გლობალური მოვლენა იყო, რამაც ბევრი რამ შეცვალა არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის ყოფიერების ყველა პლასტში, არამედ – მსოფლიო პოლიტიკაშიც. გარდაუვალი აღმოჩნდა სისტემური, სტრუქტურული ცვლილებები. ახალმა მსოფლმხედველობრივმა პარადიგმებმა, რომლებიც ზოგი დასავლეთის ანალოგიით, ხოლო ზოგი ახალი ვითარების ადეკვატურად ყალიბდებოდა, შექმნა ახალი პოსტკოლონიური სივრცე. ზოგადად, ლიტერატურის ისტორია დოკუმენტური ჟანრის გააქტიურებას სწორედ გარდამავალ პერიოდებში აფიქსირებს. ნგრევის შოკით დათრგუნული ადამიანი ესწრაფვის დააფიქსიროს საკუთარი არსებობა, დროისა და სივრცული მოწყობის ამორფულობას არ გაატანოს უნიკალური მოვლენა: სიცოცხლე, არსებობა.

§2. პოსტსაბჭოთა მემუარული პროზის სახეები: ამ პარაგრაფში წარმოდგენილია თანამედროვე მემუარული პროზის ჟანრობრივი ანალიზი. მემუარული პროზა ჟანრობრივად მრავალსახეობრივია. უკანასკნელ პერიოდში მეცნიერები იხრებიან იმ ტენდენციისაკენ, რომ მემუარულ პროზაში დაინახონ მისი მეტაჟანროლობაც, რადგან მასში წარმოდგენილია მონათესავე ჟანრებისათვის არსებითი ერთიანი კონსტრუქციული პრინციპები. მემუარისტულ შერთებულა ლირიკული მოთხრობის, ბიოგრაფიული თხრობის, ლიტერატურული პორტრეტის, ინტერვიუსა და სხვა სახეობები. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ამ ჟანრის ქმნის დომინანტური ფაქტორი გახლავთ „მეხსიერება“ და „სუბიექტურობა“ – კვლევის მიზანია შეისწავლოს მათი არეკლვა და გარდასახვა მხატვრულ ლიტერატურაში.

ჟანრი „დღიური“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწერალ–მემუარისტისთვის, თუმცა მისი გაიგივება მემუარებთან შეუძლებელია. მწერლის „დღიურები“ წარმოადგენს განსაკუთრებული ჟანრული მოდიფიკაციის საგანს (ყოველდღიური ჩანაწერები, ჩანაწერები – შთაბეჭდილებები წაკითხულ წიგნზე,

აღსარებითი შინაარსის ჩანაწერები, თარგმანების ნაწყვეტები). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მწერლის ჩანაწერები მემუარული თხრობის კომპოზიციის მათგან იზიარებული მხატვრულ-სტილისტური მეთოდია. დღიური თითქმის ყოველთვის ორიენტირებულია აწმყოზე, ხოლო მემუარების ავტორი მიმართავს წარსულ დროს. მწერლის დღიური, სადაც დეტალური სიზუსტითა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დაფიქსირებული რეალობა, შემდგომში ერთგვარი ლაბორატორიის როლს ასრულებს მხატვრული სახეებისა და სიუჟეტების შექმნისას და არის რა „პირადი წყარო“, შესაბამისად, მეტი დამაჯერებლობით შეიძლება იწოდებოდეს დოკუმენტურად, განსხვავებით ლიტერატურული მემუარებისა, რომლებიც ეპოქის მხატვრული ქრონიკა უფროა. დღიურებია გოდერძი ჩოხელის „გუდამაყრელი იები“.

გარდა დღიურებისა, მემუარისტიკის შემადგენელია **პირადი წერილები**, ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

მემუარისტიკაში გამოყოფენ **მოგზაურობის ჟანრს**. მოგზაურის ჩანაწერები, როგორც ლიტერატურული ჟანრი, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ყალიბდება, განსაკუთრებულ პოპულარობას კი XIX საუკუნის პირველ ნახევარში იძენს. „მოგზაურის ჩანაწერების“ გმირი რეალურ გეოგრაფიულ გარემოში მოგზაურობს და თავისებურად მოიაზრებს ნანახსა და განცდილს, გადმოგვცემს პირად დამოკიდებულებას აღწერილი მოვლენების მიმართ. მოცემულ პარადიგმაში განვიხილავთ დათო ტურაშვილის „ტიბეტი არ არის შორს“.

პორტრეტისა და ინტერიერის აღწერის ტექნიკით მემუარისტი უახლოვდება რეალიზმის პრინციპებს. აგრეთვე, მასალის გადარჩევითა და ინდივიდუალურ ფორმაში მოქცევით ქმნის ტიპს.

მხატვრულ-დოკუმენტური პროზის პოპულარული ჟანრია **ლიტერატურული პორტრეტი**. ხშირად იბეჭდება ლიტერატურული პორტრეტების კრებულები. ამ ტიპის ნაწარმოებია ლევან ბერძენიშვილის „წმინდა წყვდიადი“ და სალომე ზურაბიშვილის „საქართველოსკენ“. მემუარისტის მსოფლმხედველობა: ისტორიზმი, ხალხურობა, „ფაქტის სიმართლე“ და „დროის სული“ ლიტერატურას აახლოებს ცხოვრებასთან, იწვევს დოკუმენტურისა და მხატვრულის ურთიერთშეჭრას. გარდა

რეალიზმისა, მემუარისტიკა საინტერესო მიმართებას ამყარებს სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებსა თუ ჟანრებთან. მაგალითად, ხშირად მემუარისტული ტექსტი წარმოდგენილია შინაგანი მონოლოგის სახით, აღსარების პათოსით (გარკვეული ფრაგმენტები გურამ დოჩანაშვილის „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“).

ლიტერატურულ აღსარებას საფუძველი ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში ჩაეყარა. ჰაგიოგრაფიული ჟანრის ფარგლებში მოქცეული აღსარებები განსხვავდება აღსარებითი მემუარული ნაწარმოებებისაგან. შუა საუკუნეებში აღსარება იყო ერთადერთი ფსიქოლოგიური სახის ავტობიოგრაფიული ტექსტი, ხოლო ფსიქოლოგიზმის ეპოქაში აღსარებისა და მემუარულმა ჟანრებმა გაანეიტრალეს ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები. მემუარისტის მიზანია, პირველ რიგში, თვითჩაღრმავება, თვითგამორკვევა, თუმცა შენარჩუნებულია გარეგნული ისტორიული ან ოჯახურ-გვაროვნული ფონი, როგორც დოკუმენტური ნაწარმოების საფუძველი. აღსარებას წარმოადგენს დოჩანაშვილის თხზულების ვრცელი მონაკვეთი.

ესეისტიკა – ის მხატვრული, სამეცნიერო და დოკუმენტური სტილის ურთიერთზემოქმედებით სამყაროს შეცნობის გარკვეულ კონცეფციას აყალიბებს, ამასთან ერთად გვაძლევს საშუალებას გავიაზროთ თანამედროვე პროზის გლობალური პროცესი – ბელეტრისტიკიდან გარდამავალ ჟანრებზე გადასვლა. ესეში არგუმენტირებულ მსჯელობასთან ერთად წარმოდგენილია ნარატივი, თხრობის ის ფორმა, რომელიც დამოკიდებულია ჭეშმარიტების სუბიექტურ რწმენაზე, ამიტომაც ის მომენტალურად ბადებს კამათისა და აზრთა სხვადასხვაობის გამოვლენის საშუალებას. ესეების კრებულია გოგი გვახარიას „ცრემლიანი სათვალე“.

ისტორიული მეტაპროზის ნიმუშია ვახუშტი კოტეტიშვილის „ჩემი წუთისოფელი“ – მხატვრულისა და დოკუმენტურის სინთეზით შექმნილი თანემედროვე ბელეტრისტიკის სახეობის – Faction–ის მიმართულების ტექსტი.

ინტერვიუს ფორმატშია წარმოდგენილი გელა ჩარკვიანის „**ინტერვიუ მამასთან**“.

§ 3. სათაურის პოეტიკა: მხატვრული ნაწარმოები მკითხველისათვის ერთიანი ტექსტია, რომელიც კრავს და ამთლიანებს მასში გაბნეულ მინიშნებებს, სიმბოლოებს,

მეტაფორებსა და მარკერებს. ავტორისეული სემიოტიკის გაგებისა და ინტერპრეტაციის გზაზე პირველი ნაბიჯი სწორედ სათაურის კოდის გახსნაა. ამიტომაც სათაური უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, მისი მრავალმხრივი ფუნქციის გამო, მკვლევართა სერიოზულ ინტერესს იწვევს. 1960 წლიდან, როცა ფილოლოგიამ სისტემური მიდგომები დანერგა, სათაურისადმი ინტერესი გაიზარდა, მას განიხილავენ როგორც სისტემის ნაწილს, ტექსტის ელემენტს.

თავი IV – ისტორიული დისკურსი მემუარისტიკაში

§1. წარსულის ასხვა მემუარისტიკაში: ისტორიის, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის, განვითარება კონკრეტულ ერებს სტიმულს აძლევდა ამაღლებული ეროვნული თვითშეგნების ჩამოსაყალიბებლად. წერილობითი კულტურა ისტორიულ მეხსიერებას ლიტერატურულ ფორმაში აქცევდა და მას ეროვნული ცნობიერების მყარ ძეგლად გარდაქმნიდა ხოლმე, ინახავდა რა ნაციონალურ კონცეფციებსა და იდეებს. „ულიტერატუროდ დარჩენილი ხალხი უპატრონოდ დარჩენილი ბავშვივითაა და ყველას შეუძლია მისი აბუჩად აგდება. ქართველი ხალხი ქართულ მწერლობასთან ერთად იზრდებოდა, გნებავთ, მისი ზემოქმედებით წერდა თავის სულიერ კონსტიტუციას და ამიტომაც იდგა მიწაზე მყარად“ – წერდა ოთარ ჭილაძე. ლიტერატურა ერის არსებობის გარანტიაა, მისი ისტორიის მოწმე. მემუარული ხასიათის ტექსტები წარმოადგენენ პიროვნულ პრიზმაში გაშუქებულ ერის ისტორიას. ამდენად, მემატთანე, ჟამთააღმწერელი, რაღაც დოზით, ბელეტრისტია, გამოხატავს რა პირად დამოკიდებულებას აღწერილ ინფორმაციასთან მიმართებით.

მემუარული პროზის ანალიზის დროს გვერდს ვერ ავუვლით ისტორიის საკითხს, რადგან გარდა მხატვრული ღირებულებისა, მემუარულ პროზას სხვა მნიშვნელოვანი დატვირთვაც აქვს – ისტორიული მეხსიერების შენახვა და გადაცემა, განსაკუთრებით, ქართული კულტურისათვის, რომლისთვისაც ისტორიული მეხსიერება იდენტობის საკითხთანაა გადაჯაჭვული. აქვე შეიძლება შეთანხმება, რომ მხატვრულ ლიტერატურაში ასახულ ამბავს ვერ ექნება ისტორიულ ჭეშმარიტებაზე პრეტენზია, რადგან ისტორიული წყარო და ლიტერატურული ტექსტი განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ისტორია და ლიტერატურა არის წყარო ინტერტექსტური ნაწარმოებებისთვის. ისინი თანაბარი ხარისხით წარმოადგენენ ჩვენი კულტურის აღმნიშვნელ სისტემებს და ქმნიან თანამედროვე სამყაროს არსს. ამის ყველაზე შემეცნებითი ფორმა–მეთოდი ისტორიული მეტაპროზაა. ამ ჟანრის სახელმძღვანელოდ მიჩნეულია კანადელი კრიტიკოსი ლინდა ჰატჩელი. მეტაპროზულ ნაწარმოებებში მწერლები ახდენენ ბუნდოვანი თუ სადავო ისტორიული ეპიზოდების, ისტორიის „თეთრი ლაქების“ თავისებურ რეკონსტრუქციას ისტორიული პერსონაჟებისა და კონტექსტის პაროდირებითა და კარნავალიზაციით.

§ 2. ვახუშტი კოტეტიშვილის „ჩემი წუთისოფელი“: ვახუშტი კოტეტიშვილის „ჩემი წუთისოფელი“ თანამედროვე მხატვრულ–დოკუმენტური პროზის (მემუარისტიკის) ერთ–ერთი გამორჩეული ნიმუშია. უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა ის გარემოება, რომ შემოქმედი ბილინგვია. ის ნაწარმოებს ორ ენაზე გვთავაზობს. ავტორს ეკუთვნის ტექსტის ქართული და რუსული ვარიანტები.

დიგლოსია, რომლის პირობებშიც რუსეთის იმპერიაში შემავალი მცირე ერების მშობლიური ენა „ჩაგრულ“ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ერთნაირად ეხებოდა ქართულსა და პოლონურ ენებს (ვახუშტი კოტეტიშვილის დედა ეროვნებით პოლონელი იყო). იმპერიაში საკომუნიკაციო ენა რუსული იყო, დილევსკები რუსულად ლაპარაკობენ, ქართულ მაღალ საზოგადოებაშიც პრესტიჟული იყო რუსულად მეტყველება. თერგდალეულთა ენის დაცვის კამპანია სწორედ ამგვარი ობიექტური მიზეზებით იყო მოტივირებული.

საბჭოური რეპრესიებით მიღებული ტრავმა, ამ რეპრესიების მასშტაბურობიდან გამომდინარე, გაცდა ერთი ადამიანის ტრაგედიას და ეროვნული ცნობიერება მოიცვა. თუმცა ტრავმული ხსოვნა არ შემოიფარგლება მხოლოდ საბჭოთა პერიოდით. ის მოიცავს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ორასწლოვან ისტორიას“ – წერს პროფესორი მანანა კვაჭანტირაძე.

ადამიანის მეხსიერება თვითონ წარმოადგენს რთულ ტექსტს, რომელიც დასერილია ტრავმებით. ტრავმის გადალახვის, დაძლევის თერაპია გამოიხატება წარსულზე წარმოდგენების განუწყვეტელ გადამუშავებაში. ის დაიძლევა არა დავიწყებითა და მისი ჩაკირვით, არამედ გაცნობიერებითა და ეთიკური

შეფასებებით. „მეყო რაც თავი ვიკავე, რაც გულში ვიხვიე და ვათუხთუხე ეს გულისმხვრელი დარდი, რაც არაყივით ვხადე ფიქრ–ვარამი. გასკდა ზარფუში...“ – ასე გამოხატავს ემოციას ვახუშტი კოტეტიშვილი. ამ პროცესში მეხსიერებას ზედაპირზე ამოაქვს ეროვნული იდენტობის კულტურულ–ისტორიული, ეთნო–ფსიქიკური საფუძვლები. ყოველივე ეს ქმნის პიროვნების ცნობიერების სივრცეს.

ვახუშტი კოტეტიშვილის მხატვრული მეთოდი ისტორიული მეტაპროზის მსგავსია. ის მონათხრობებით, გადმოცემებით აღდგენილ ამბებს ფიქციის საშუალებით, ანუ ისტორიულ პირებთან გამოგონილი პერსონაჟების ერთ სიბრტყეზე მოქცევით, თხზავს, აღადგენს წარსულს. მართალია, ავტორი იყენებს პოსტმოდერნიზმის მხატვრულ ხერხებს, მაგრამ რადიკალურად განსხვავებულია მისი იდეური კონცეფცია. ის არ იზიარებს პოსტმოდერნიზმის „მრწამს“ – ფილოსოფიასა და ესთეტიკას, პირიქით, ნაცვლად ლიტერატურული მემკვიდრეობის პაროდირებისა, კოტეტიშვილი ეყრდნობა ქართულ ლიტერატურაში XIX–XX სს–ის დასაწყისში შექმნილ პარადიგმებს და მათ ფაბულად, ახალი ნარატივის ჩონჩხად აქცევს. რეალური ამბები ხდება ეპოქის პარადიგმული სქემის ანალოგი, მაგალითად, მამის სიკვდილი.

ამრიგად, მხატვრულ–დოკუმენტური ლიტერატურა თანამედროვე ლიტერატურულ ვითარებაში ჩამოყალიბების აქტიურ პროცესში მყოფი მხატვრული ჟანრია, რომლის სპეციფიკაც არის დოკუმენტალიზმის გამოყენება ესთეტიკური მიზნებისათვის. ამ ტიპის ლიტერატურაში კონკრეტული ფაქტები სახეების მნიშვნელობას იძენს, რეალურ მოვლენათა სისტემა ეპიკურ სიუჟეტად იქცევა, პირადი განსჯა და ავტორ–მთხრობლის ასოციაციები ლირიკულ სიუჟეტად, საზოგადოებრივი ძალების შეჯახება, რეალურ ადამიანთა დაპირისპირება და ავტორ–მთხრობლის სულში მიმდინარე შინაგანი ბრძოლა კი თხზულების კონფლიქტებად, კოლიზიებად გარდაიქმნება.

§3. გელა ჩარკვიანის „ინტერვიუ მამასთან“: საბჭოთა ეპოქაში ისტორიული ფიგურების როლისა და მნიშვნელობის გაყალბება და გადაფასება ჩვეულებრივი ამბავი იყო. ავტორი აღნიშნავს, რომ უკვე ჩამოყალიბებული, თაობათა ფსიქოლოგიაში ფესვებგამდგარი მიკერძოების, ირაციონალური სიძულვილისა თუ

ნოსტალგიური ილუზიის მოშლას ზოგჯერ საუკუნეები ესაჭიროება, მით უფრო მაშინ, როცა საბჭოთა რეპრესიებგამოვლილ მოქალაქეს უკვე სისხლში აქვს რელიგიად ქცეული „პოლიტიკური კორექტულობა“.

გელა ჩარკვიანის რესპონდენტი ჩვენი ერისთვის საბედისწერო მოვლენათა ერთ-ერთი იშვიათი თვითმხილველი, ავტორის მამა, კანდიტ ჩარკვიანი.

ინტერვიუ ჟურნალისტიკის ფორმატია და ბელეტრისტიკაში სწორედ მისი გავლენით დამკვიდრდა. ჟურნალისტიკა, ინტერაქციული ფორმატის გამო, ხშირად გარდამავალი ეტაპი იყო ხოლმე მწერლებისა და ჟურნალისტებისათვის. ჟურნალისტიკა, მართალია, პრიორიტეტს ინფორმაციულ-ანალიტიკურ მხარეს ანიჭებს და საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებსა და პრობლემებს აშუქებს, მაგრამ მკითხველისათვის მაინც საინტერესოა, თუ რა ფორმით მიაწვდიან მას სათქმელს. გონებამახვილურმა შედარებამ, სხარტმა გამონათქვამმა, ლექსიკის შერჩევამ, დახვეწილი ფორმის გამოძებნამ, მოვლენის ზუსტმა და მორგებულმა სათაურმა ჟურნალისტიკაში მწერლების ჩართვის შემდეგ უფრო დიდი საზოგადოებრივი ყურადღება მიიპყრო. ამდენად, გელა ჩარკვიანის „ინტერვიუ მამასთან“ ჩვენ წარმოვადგინეთ როგორც სინთეზური პროდუქტი ბელეტრისტიკის (მხედველობაში გვაქვს ვრცელი შესავალი, რეზიუმე, რომელშიც ავტორის დამოკიდებულებაა გაშლილი) და ჟურნალისტიკისა – საკუთრივ ინტერვიუ: ინტერვიუერი – გელა ჩარკვიანი და რესპონდენტი – კანდიტ ჩარკვიანი.

თავი V - ეპოქის რეკონსტრუქცია

§1. გოგი გვახარას „ცრემლიანი სათვალე“: ესეების კრებული „ცრემლიანი სათვალე“ ავტორის, გოგი გვახარას დაკვირვებით შეგროვებულის მხატვრულ-ანალიტიკური ესეს ფორმატში მოქცევით მივიღეთ ორიგინალური მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტი, რომელიც სახეობრივი აზროვნებისა და ტროპული მეტყველების უნიკალური, მოულოდნელი ფიგურებით გაჯერებული ნაწარმოებაცაა და დოკუმენტური, ისტორიკოსებისათვის საინტერესო ეპოქის მარკერებით დატვირთული პირადი წყაროც.

ფაქტები ნაწარმოებში და შემდგომში მათგან მიღებული განცდები ისეთი მძაფრი და ხელშესახებია, რომ, სავარაუდოდ, ტექსტი შექმნილია დღიურების, ჩანაწერების საფუძველზე, რომელსაც ავტორი მოვლენების კვალდაკვალ, თანადროულად აფიქსირებდა. ყოველი თავი ცალკე ისტორიულ ფაქტს ან ეპოქის ამა თუ იმ ტენდენციას რომელიმე კინორეჟისორის შემოქმედებით კონცეფციასთან ან მხატვრული ფილმის თემატიკასთან მიმართებით წარმოაჩენს. კინოს ისტორია ავტორისათვის კაცობრიობის, კონკრეტული ეპოქის, პიროვნების არსის, არსებობის გამართლების, მიზნისა თუ მიზეზის ძიების ისტორიაა.

ჰერმენევტიკული წრე, რომელსაც გვახარია ასოციაციური ბმებით თუ პროტოტიპებისა და არტეფაქტების აკინძვით კრავს, საინტერესო სტრუქტურულ პარადიგმებს ქმნის, მკითხველს ეხმარება ეპოქის აღქმაში.

თითოეულ ესეს დამოუკიდებლად გააჩნია კონცეფცია, თემა და იდეა - მთავარი სათქმელი, რაც, ხშირ შემთხვევაში, მკითხველისადმი გზავნილის სახით არის გამოტანილი და ინტერაქციის საფუძველი ხდება.

§2. ლევან ბერძენიშვილის „წმინდა წყვდიადი“: ლევან ბერძენიშვილის „წმინდა წყვდიადი“ ფრაგმენტული მემუარისტიკის ნიმუშია, მოგვითხრობს ცხოვრების ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე: დისიდენტობის გამო პატიმრობაზე. პატიმრობა დაიწყო 1982 და დასრულდა 1985 წელს, მაგრამ რეალურად ვერ დასრულდა: ამ წლებმა განსაზღვრა ადამიანის შემდგომი ცხოვრება. ზონაში მყოფი თითოეული პიროვნების სახე პერსონაჟად გარდაისახა და მათი ზონისკენ მიმავალი და მას შემდეგ გავლილი გზები ერთდროულად ლიტერატურული პორტრეტებისა და საბჭოური ნარატივების წყაროდ იქცა.

დოკუმენტური პროზის ეს ჟანრი – **ლიტერატურული პორტრეტები** – არახალია როგორც მსოფლიო, ასევე ქართული ლიტერატურისათვის (აკაკი წერეთელი, ანდრე მორუა, შტეფან ცვაიგი, რომენ როლანი). განვიხილავთ რა პოსტსაბჭოთა მემუარისტიკას, ცხადია, მოგონებათა დრო საბჭოთა პერიოდია. საბჭოთა პოტენციური მწერალიცა და მკითხველიც, საბჭოთა ადამიანი, სულ სხვაგვარი კულტურული ექსპანსიის ნაწილი იყო, ვიდრე დღეს, გლობალიზაციის მოქცევაში, მის მორევში მოლივლივე პოსტსაბჭოთა ხანის ქართველი. პოსტსაბჭოთა ეპოქაში

საბჭოთა სინამდვილის ასახვის მოტივაციას ბადებს სურვილი – მირაჟით გამქრალი სახელმწიფოს არსებობაში დააჯერონ მომავალი თაობები. მემუარისტები იწვევენ მკითხველს, რათა წარმოადგენინონ ის რეალობა, რომელიც მხოლოდ სსრკ-სთვის იყო დამახასიათებელი. თხზულებაში გატარებულია კონცეფცია: ციხის, როგორც ჩაკეტილი სივრცის, სიმბოლო ინგრევა შინაგანი თავისუფლებისა და ინფორმაციის ცირკულირების შესაძლებლობით, რაც შემდგომში საბჭოთა კავშირის ნგრევის მიკრო ანალოგიაა.

§ 3. თამაზ ჭილაძის „ოთართან ერთად“: თამაზ ჭილაძის მემუარული ნაწარმოები თხრობითი და ანალიტიკური ხასიათის ტექსტია. ყოველ დებულებასა და აზრს, თითქოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს არსებობის უფლება, თუკი ავტორი არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთებს მას. უპირველეს ყოვლისა, მემუარისტს თვით ავტობიოგრაფიული თუ მოგონებების თხზვის მოტივის ახსნა-განმარტება მიაჩნია ნაწარმოების არსებობის გამართლებისათვის აუცილებლობად. თამაზ ჭილაძეს ნაწარმოებისთვის შემუშავებული აქვს ერთგვარი ჩარჩო, რაც გულისხმობს ოთარ ჭილაძის ჩანაწერებსა და პუბლიცისტიკაზე დაყრდნობით მოგვითხროს, იმსჯელოს და პირადი მოგონებები მიაბას ოთარისას. მოგონებათა ცენტრში ყოველთვის ოჯახი დგას. ოჯახის სოციალური თუ ეგზისტენციალური ფენომენი მემუარის კომპოზიციის უცვლელი და მონუმენტური კომპონენტია, რომელსაც პერსონაჟით თავისი პროფილი და ხასიათის თვისებები გააჩნია.

შეუძლებელია არსებობდეს ბიოგრაფიის ტრადიციული სქემა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანი დაბადებიდან სიკვდილამდე რაღაც კანონზომიერ გზას გადის. ბათუმი, სიღნაღი, თბილისი – ამ ქალაქებში მიედინებოდა ძმების ცხოვრება. თითოეული ქალაქი მათ შემოქმედებაში უნიკალურ არტეფაქტებად დაფიქსირდა. ქალაქი, როგორც ანთროპოლოგიური შემოქმედება, ის ფენომენია, რომელიც ადამიანური არსებობის ყველა გამოვლინებას აერთებს: არქიტექტურას, ტრადიციებსა თუ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის კონვენციურ სისტემებს. ქალაქი არის სივრცე, რომელიც ძერწავს ადამიანს, ლიტერატურისათვის – ქრონოტოპს.

თამაზ ჭილაძის მოგონებებში საინტერესოდ დაიხატა საბჭოთა მწერლობის ზნეობრივი სახე. სოცრეალიზმის უხემ კალაპოტში ვერჩატეული ქართული

მწერლობა თავისთავად იქცა საინტერესო თავგადასავლის გმირად. ის დადგა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მან რელიგიაც ჩაანაცვლა და ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელად მოგვევლინა. დაცემის თუ გაძლების, გმირობის თუ კომპრომისის მაგალითებით ქართულმა მწერლობამ საინტერესო თავგადასავალი დაწერა, რაც ობიექტურად არის ასახული თამაზ ჭილაძის მემუარებში „ოთართან ერთად“.

§ 4. დათო ტურაშვილის „იყო და არა იყო რა“ (ისტერიული რომანი): დათო ტურაშვილის „იყო და არა იყო რა“ ფრაგმენტული მემუარისტიკის კლასიკური ნიმუშია, ავტორი სათაურთან უთითებს თარიღს, უფრო სწორად, პერიოდს 1987-1991 წლები, რომლებსაც მოიცავს ტექსტში გადმოცემული ნარატივი. აგრეთვე სათაურს ეპიგრაფივით მიწერილი აქვს – „ისტერიული რომანი.“ სიტყვა „ისტერიული“ პარონიმია ამ ადგილას მოსალოდნელი, მკითხველის განწყობით განპირობებული „ისტორიულისა.“ შესავალში ავტორი განმარტავს ისტერიული რომანის არსს და გასაგები ხდება, რომ სიტყვა „რომანი“ ამ შემთხვევაში ომონიმური მნიშვნელობითაა გამოყენებული და არა ჟანრს, არამედ სასიყვარულო თავგადასავალს გულისხმობს.

ერთი სიტყვით, ეს მინიშნება ცრუ სიგნალია. სიმულაკრას საპირისპირო ხერხი, რომლის უკან მნიშვნელოვანი, მაგრამ მოულოდნელი შინაარსია ჩასაფრებული. „სიყვარული კი მართლა შეიძლება იყოს ისტერიული და თუ ეს სიყვარული ორასი წლის წინ წაგართვეს და მისი დაბრუნება ახლაც ისევე გინდა, როგორც მაშინ გინდოდა, როცა პირველად აღმოაჩინე, რომ მოგატყუეს“ – გვიხსნის ავტორი.

თავისუფლება, მისი მოპოვება და დაკარგვა არის მთავარი იდეა იმ მოგონებებისა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ლოკალურ დროს აღწერს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ორასწლოვან ეპოქას აანალიზებს, განიხილავს ურთიერთობას, რომლის გამოც სამშობლოს სიყვარული ისტერიულ რომანად ექცა დათო ტურაშვილს.

დათო ტურაშვილის მემუარები „იყო და არა იყო რა“ პირდაპირი მნიშვნელობით გახლავთ რეკონსტრუქცია იმ ქვეყნისა, რომელიც იყო და თან არ იყო. სსრკ არსებობას აგრძელებს თანამედროვე საქართველოს ტრავმულ ფსიქოლოგიაში.

მისი გადააზრება და შეფასება კი, შესაძლებელია, ერთადერთი საშუალება იყოს საბჭოური ფსიქოლოგიის რემისიებიდან თავის დასაღწევად.

§5. დიდი ქალაქების სემიოტიკა (საბჭოთა რეალობის რეკონსტრუქციისათვის):
მემუარული პროზა, მხატვრული და დოკუმენტური ჟანრის სინთეზის წყალობით, ერთდროულად გვთავაზობს რეალობის ფოტოგრაფიულ სურათსაც და მხატვრულ ვერსიასაც, ინახავს ისეთ ავთენტურ საგნებსა თუ ცნებებს, რომელთაც განზოგადების პოტენცია გააჩნიათ. სემიოტიკა ინფორმაციის შეკუმშვას, მის კოდამდე დაყვანას ნიშნავს, ცხადია, ინფორმაციის შენახვის, გამარტივების მიზნით. ეს პროცესი მეხსიერების ფენომენს უკავშირდება. თუკი ამა თუ იმ სემიოტიკური ნიშნის სემანტიკა კოლექტიურ მეხსიერებაში არაერთგვაროვანია, შეუძლებელი გახდება მისი გამოყენება – პრაგმატიკა. ჩვენთვის საინტერესოა ლიტერატურულ ტექსტში, კერძოდ, მემუარისტულ პროზაში, მოცემული მეტაფორა, ალეგორია შემდგომში იქცა თუ არა ეპოქის, საზოგადოების სახეობრივი აზროვნების ნიშნად.

სიმბოლოთა სისტემაში, რომელიც შეიმუშავა კულტურის ისტორიამ, ქალაქი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. ამასთან, საჭიროა გამოვყოთ ქალაქური სემიოტიკის ორი ძირითადი სფერო: ქალაქი – როგორც სივრცე და ქალაქი – როგორც სახელი.

პოსტსაბჭოთა პერიოდის მემუარისტულ სემიოტიკაში საბჭოთა ქალაქები საბჭოთა რეალობის სტრუქტურას ქმნიან, ამ ქსელში ფუნქციები საკავშირო მასშტაბითაა გადანაწილებული. ქალაქი, როგორც ჩაკეტილი სივრცე, ორმაგ დამოკიდებულებაშია მის ირგვლივ არსებულ მიწასთან. მას შეუძლია განასახიეროს სახელმწიფო ან სისტემის კომპონენტად წარმოგვიდგეს.

ქალაქი, როგორც რთული სემიოტიკური მექანიზმი, კულტურის გენერატორია, ამ ფუნქციას ის სწორედ იმის დამსახურებით ასრულებს, რომ წარმოადგენს კოდებისა და ტექსტების სახარშ ქვაბს. ნებისმიერ ქალაქს სწორედ სემიოტიკური პოლიგლოტობა ხდის სხვა შემთხვევაში შეუძლებელი სემიოტიკური კოლიზიების ასპარეზად. სემიოტიკური კოლიზიების წყაროდ შეიძლება იქცეს არა მხოლოდ სინქრონული მდგომარეობა სხვადასხვაგვარი სემიოტიკური წარმონაქმნებისა, არამედ – დიაქრონულიც. გარდასული ეპოქების რელიკვიები

წარმოგვიდგებიან, როგორც კოდური პროგრამები, რომლებიც მუდმივად ხელახლა გენერირებენ ტექსტებს ისტორიულ წარსულზე.

ჟაკ დერიდა სტრუქტურისა და ცენტრის მიმართებაზე საუბრისას აღნიშნავს: „ყოველთვის ითვლებოდა, რომ ცენტრი სტრუქტურაში ქმნიდა სწორედ იმას, რაც მართავს მას და, ამავე დროს, ის სტრუქტურის მიღმა რჩება, ამიტომაც სტრუქტურის შესახებ კლასიკური თვალსაზრისისთვის პარადოქსულია ის, რომ ცენტრი მდებარეობს როგორც სტრუქტურაში, ასევე მის მიღმა, რაღაც მთლიანის ცენტრში და, ამავე დროს, ამ მთლიანობას გააჩნია სხვაგან თავისი სხვა ცენტრი.“

საბჭოთა კავშირი იერარქიული სისტემა გახლდათ, თუმცა გამოიყოფოდა პარტიულ–თანამდებობრივი, ქურდული სამყაროს იერარქია და ინტელიგენტური (სამეცნიერო სფეროს) სუბორდინირებული საზოგადოება. შესაბამისად, გვაქვს სამი ცენტრი: მოსკოვი, ოდესა, ლენინგრადი.

ქალაქური სემიოტიკის კვლევის თვალსაზრისით მემუარისტული შინაარსის თხზულებათა შორის განსაკუთრებით ინფორმაციული აღმოჩნდა მოგზაურობის ჟანრის ტექსტები. მოგზაურობის ფაბულაზე აგებული ლიტერატურული ნაწარმოებების გმირი გეოგრაფიული მარშრუტის გავლასთან ერთად, შინაგან სულიერ მოგზაურობასაც გადის, მამის სახლში დაბრუნება (ოდისევსის შემთხვევაში) გულისხმობს გმირის სულიერ ინიციაციას, ზრდას, ზესწრაფვას. ჩვენთვის საინტერესოა, ამ კონტექსტში გმირისთვის რა ფუნქციას იძენს ესა თუ ის ქალაქი: არის ის გზის დასაწყისი, გზაჯვარედინი, უფსკრული – დაცემა, თუ პირიქით, მთაზე ასვლა – იერუსალიმი.

მამის სახლში, სამშობლოში დაბრუნების მოტივით საინტერესო ტექსტია სალომე ზურაბიშვილის მემუარული ესეების კრებული „საქართველოსკენ“. ემიგრანტი ქართველის საქართველოში დაბრუნება წინაპართა განვლილი გზის (არა მხოლოდ გეოგრაფიული) გაგრძელებითაა მოტივირებული, ეს ეროვნული თუ გენეტიკური იდენტიფიკაციის ერთგვარი წყურვილია.

§ 6. ფრიდონ ხალვაშის „ომრი“

„ომრი“ ფრიდონ ხალვაშის მემუარული ნაწარმოებია, რომელიც 80 წელს გადაცილებულმა პოეტმა შექმნა. მან ამ პროზაული თხზულებით ახალი სიცოცხლე შესძინა საკუთარ პოეზიასაც: განმარტა, გააანალიზა საკუთარი შემოქმედება, გაიხსენა ამა თუ იმ ლექსის შექმნის ინსპირაციის წყარო.

ფრიდონ ხალვაში „გადარჩენილი ქართული სიტყვის მოდარაჯე“ აჭარელის სახედ იქცა. ეს ნიშა თვითონ შექმნა და თვითონვე წარმატებით დაიკავა კიდევ ქართული საბჭოთა მწერლობის ქრესტომათიაში. ქართული ენა, მისი განცხადებით, გამუსლიმანებული ქართველობის მთავარი რელიგიაა. მართალია, მათ აეკრძალათ მშობლიურ ენაზე ლოცვა, სწავლა, მაგრამ ენის გადარჩენით ამ ხალხმა ბედისწერის გამოწვევას უპასუხა. ეს სიჯიუტე ეროვნული იდენტობის გადარჩენის ინსტინქტია. ავტორი ყურადღებას აქცევს აჭარულ და იმერხეულ დიალექტებში დამკვიდრებულ ერთ სიტყვას: „გადამქართულდა“, რაც დამავიწყდას ნიშნავს. ქართული სიტყვების დავიწყება, როგორც ჩანს, იმდენად მტკივნეულად აღიქმებოდა, რომ ცნება „დავიწყება“ ამ საგანგებო ლექსიკური ერთეულით აღინიშნა.

ფრიდონ ხალვაშმა იგრძნო, თუ როგორ აკლდა ქართულ მწერლობას ხმა აჭარიდან, აჭარული ინტონაცია და მოტივი. ამიტომაც ადვილად მიაგნო ამ შტრიხს და ქართულ მწერლობას აჭარული კილოკავით აჟღერებული ლექსი შესთავაზა. მისი ენა, მართალია, გადატვირთულია თურქიზმებით, რაც ბუნებრივია სამასწლიანი ოსმალური აგრესიის შემდეგ, მაგრამ მასში დაცულია ქართული ენის სიტყვათქმნადობის ბუნებრივი პრინციპი. ერთგან აღნიშნავს კიდევ ფრიდონ ხალვაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს ყველა კუთხეში ჩატარდა კვლევა იმის დასადგენად, თუ თანამედროვეთა ცოცხალ მეტყველებაში საქართველოს რომელ კუთხეში უფრო მეტი რუსთვ – აჭარაში. დედასამშობლოდან მოშორებამ, აჭარა ენის დედოსაც მოსწყვიტა. ამ ვითარებამ ენის დაკონსერვება გამოიწვია, კვლევის შედეგიც სწორედ ამით აიხსნა.

ფრიდონ ხალვაში პოეზიაში ოსტატურდ იყენებს აჭარულ დიალექტურ ფორმებს, რითაც ქმნის იმ მგრძნობელობას, რაც მკითხველს ამ კუთხის ტკივილის აღსაქმელად სჭირდება. „ომრი“ კიდევ უფრო მეტადაა გაჯერებული დიალექტური ფორმებით, თურქიზმებით, რაც ენობრივი ინტერფერენციის საინტერესო სურათს

ხატავს და პოსტკოლონიური აზროვნების ლინგვისტურ პლასტს წარმოგვიდგენს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თურქიზმებთან ერთად პოეტი რუსულ ბარბარიზმებსაც არ ერიდება. ის მოსკოვში აგრძელებს განათლების მიღებას, მჭიდრო კონტაქტები აქვს რუს პოეტებთან, თარგმნის კიდეც მათ შემოქმედებას, ამდენად, ბუნებრივად გვეჩვენება საბჭოთა მოქალაქის ლექსიკაში რუსული სიტყვების მოძალება. ასე რომ, ტექსტი ორი იმპერიის დომინანტი ენების: თურქულისა და რუსულის შრეებს შეიცავს და საინტერესო კვლევის ობიექტია ლინგვოკულტუროლოგიისათვის.

§7. ქართულ–სომხური ურთიერთობების დისკურსი: ქართულ–სომხური ურთიერთობა ძმობისა და მეზობლობის მრავალ საუკუნეს ითვლის. წარმოდგენილი დისკურსის თემატიკა გარდა ორი ერის თანაცხოვრებისა თუ მეზობლობის კოლიზიების ასახვისა, ერთ მნიშვნელოვან მოტივს ააშკარავებს, კერძოდ, საბჭოთა კავშირში შემავალი ეთნიკური ერთეულების ეროვნული ცნობიერებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება, როგორც ჩანს, სენსიტიური საკითხია. მიუხედავად ერთი სახელმწიფოს საზღვრებში მოქცევისა და საერთო იდეოლოგიური ბერკეტისა, ცალკეულ ერებში აქტუალურია ისტორიული საზღვრების, კულტურის, ენის, დამწერლობის და სხვ. საკითხები. გამძაფრებულია იდენტობის განცდა და ეროვნული ღირებულებების შენახვის აუცილებლობის შეგნება.

თავი VI - პოსტმოდერნისტული მემუარისტიკა

§1. პოსტმოდერნიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა: პოსტმოდერნიზმი, როგორც კულტურული და სოციალური მოვლენა, დრომ განსაზღვრა, იმ კონკრეტული ეპოქის მსოფლმხედველობამ, რომელიც მოდერნიზმის მასშტაბურმა მოქცევამ მოიტანა. საინტერესოა, რომ მაღალი ხელოვნებით შეპყრობილი მოდერნიზმის შემდეგ შემოქმედებითი პროცესი დაუკავშირდა არა მხოლოდ ხელოვნების თუ მსოფლმხედველობრივ ძიებებს, არამედ ყოფიერ სფეროშიც შეიჭრა, უფრო ზუსტად, ხელოვნება გახდა ყოფიერების ნაწილი. განვიხილავთ რა მემუარისტიკის მხატვრულ–გამომსახველობითი ხერხების არსენალს, ლოგიკურია ყურადღება გავამახვილოთ პოსტმოდერნიზმის ნიშანდობლივ პრაქტიკაზე, რომელიც ბრიკოლაჟის ტექნიკის სახელით არის ცნობილი. მემუარები შედგენილი, კომპილაციური, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა

მასალით აწყობილი ტექსტებია, რომლებშიც ავტორისეულ თხრობას პირადი წერილები, დოკუმენტური მასალა თუ არატექსტური ელემენტები (ფოტო, გრაფიკული ჩანახატი...) და ასე შემდეგ, ავსებს. ამგვარი ფაქტურის გათვალისწინებით ვსაუბრობთ მემუარისტიკაში ბრიკოლაჟის ტექნიკაზე. პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში არ არის აუცილებელი კომპოზიციური მთლიანობისა თუ მთავარი იდეის, როგორც ნაწარმოების ღერძის, არსებობა. შემადგენელი ტექსტების მხატვრული ერთგვაროვნება და ჩანაფიქრთან კოორდინირება აღარ არის საჭირო. დასაშვებია ნარატივის ფრაგმენტირება, დაშლა, დანაწევრება, კომბინირება. პოსტმოდერნისტული კულტურის კიდევ ერთ სიმპტომს, კერძოდ, ხელოვნების კომერციალიზაციას, უნდა დავუკავშიროთ მემუარისტიკის მოჭარბება. პოსტმოდერნისტულ ხანაში კომერციული სტრუქტურები იმდენად ზუსტად პასუხობენ საზოგადოების ესთეტიკურ მოთხოვნას, რომ ფაქტობრივად წინ უსწრებენ და განსაზღვრავენ კიდევ მას. ამგვარად, კომერციალიზაცია ხელს უწყობს მასობრივი კულტურის ჩამოყალიბებას, რომლის შემადგენელი ნაწილია დღეისათვის ასე ჭარბად წარმოდგენილი, ე.წ. სელებრითების, პოლიტიკოსებისა თუ საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ბიოგრაფიები, ავტობიოგრაფიები და მემუარები.

ამ ზოგადი ანალიზის მიზანი მემუარისტიკის პოსტმოდერნულობის მტკიცებაა, რასაც კონკრეტულ თხზულებებზე საუბრისას კიდევ უფრო გავამყარებთ. საამისოდ ქართული ლიტერატურის სივრცეში წარმოდგენილ პოსტმოდერნისტულ ტექსტებს და ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმულ მოსაზრებებს მოვიშველიებთ.

§ 2. გურამ დოჩანაშვილის „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“: გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება წარმოადგენს ერთიან ავტობიოგრაფიულ მეტატექსტს. ავტობიოგრაფიული „წერილობის“ სხვადასხვა მეთოდის შემუშავებით მან გამოკვეთა უნიკალური მხატვრული მანერა, მიზნად დაისახა მოგონებათა სივრცის ლიტერატურული გადააზრება. ამგვარად დოჩანაშვილმა შემოქმედებითი აქტის სამი კომპონენტის: მე-მეხსიერება-ხელოვნება – სინთეზის საშუალებით საკუთარ ტექსტებთან აბსოლუტურ თვითიდენტიფიკაციას მიაღწია. მეხსიერების კატეგორია დოჩანაშვილის შემოქმედებისთვის ინტეგრალურ საფუძვლად იქცა. მეხსიერება

გახდა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ონტოლოგიური, ეპისტემოლოგიური და აქსეოლოგიური საფუძველი.

დოჩანაშვილის ავტობიოგრაფიული მეტატექსტი მთელი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე თანდათანობით ფორმირდებოდა. მისი შემოქმედება კი შესაძლებელია გავიაზროთ როგორც გენეტიკური დოსიე. მეტატექსტის მარკერებს წარმოადგენს ავტობიოგრაფიული ალუზიები, ავტო-მეტა-ალწერთი ფრაგმენტები, რომლებიც სხვადასხვა ტექსტში ლაიტმოტივის სახით მეორდება და თანდათანობით ავტობიოგრაფიული რემინესცენციების სტატუსს იძენს. რომანი „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“ გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ სხვადასხვა ნაწარმოებში გაბნეული ავტობიოგრაფიული ალუზიების ავთენტურ წყაროსა და – ზოგადად მის შემოქმედებაში – ავტობიოგრაფიულ დისკურსზე.

მეხსიერების შერჩევითი ბუნება სიუჟეტურ დონეზე მოვლენებს შორის დროში აცდენილ და უმიზეზო, არამოტივირებულ ბმებს აყალიბებს, რაც ქმნის ტექსტის არა სწორხაზოვან, არამედ ორნამენტულ სტრუქტურას. მეხსიერება თვითონ იძლევა სხვადასხვა ლაიტმოტივის დაკვეთას. სიუჟეტის ორნამენტულობა ხდება თხრობისა და რომანის კლასიკური ფორმის მოდელირების საფუძველიც.

§3. ბესიკ ხარანაულის „ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისთვის“: ეპიგრაფი ლიტერატურაში არის პროზაული ან პოეტური ფრაზა, რომელიც წინ უძღვის წიგნს ან მის ცალკეულ თავებს, რათა მოგვაწოდოს მათი შინაარსის მოკლე დახასიათება ან რაიმე ცნობები და ნათელი მოჭფინოს ავტორის განზრახვას. ეპიგრაფი ქმნის სხვადასხვა კონტექსტს, ჟანრულ თუ სტილისტურ შტრიხებს. ის ამა თუ იმ ეპოქის კულტურული მემკვიდრეობის კუთვნილებაა და მის ტრადიციებზე მეტყველებს, კითხვის კოდირების საშუალებას წარმოადგენს.

ფსიქოლოგიზმის თემა მემუარისტიკაში, ასაკობრივი ფსიქოლოგიის გათვალისწინებით, საფუძვლიანადაა შესწავლილი დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაში. ბესიკ ხარანაულის მოგონებები, პირადი ისტორია დროის მონაკვეთებადაა დაყოფილი და ცალკეული დანაყოფი პერსონიფიცირებულია. პერსონიფიცირება კი განსაზღვრულია ასაკობრივი ნიშნით: 4-5 წლისა წინააღმდეგობაში მოდის 8-10 წლისასთან, ამის შეხედულებებს და გაოცებებს

არაფერი აქვს საერთო 14-15 წლისასთან. სამყაროც, შესაბამისად, სხვადასხვა სახეს იღებს. სხვა სამყაროა, რომელსაც ხედავს 8-9 წლისა, განსხვავებული იმისგან, რასაც ხედავს 14-15 წლისა. სივრცე ლოკალურია, პერსონაჟებიც თითქოს უცვლელი, მაგრამ მათ ცვლადობას და ტრანსფორმირებას ხედვის პროექცია აყალიბებს. ხედვას და თვალსაზრისს გაჰყავს მატერია უძრაობის ველიდან, აქცევს მას შინაგანი ფორმირების პროცესით ამოძრავებულ და ცვალებად სამყაროდ. ავტორი ბრიკოლაჟის ტექნიკით ამთლიანებს დროის ფრაგმენტებს, ებრძვის და თან უთანხმდება დროის განზომილების არსს.

„ეპიგრაფები“ პოსტმოდერნისტულ ეპოქაში შექმნილი ტექსტია, თუმცა ძნელია უწოდო ერთმნიშვნელოვნად პოსტმოდერნისტული. მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა პოსტმოდერნული განწყობა, მგრძნობელობა, ინტერტექსტუალობა, კონტექსტი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ტექსტთან, ამ ნაწარმოებს არ ახასიათებს ირონიულ-ნიჰილისტური, დამცინავი განწყობა. ფინალში, უფრო ზუსტად ლირიკულ ეპილოგში გვაქვს მკითხველთან ინტერაქცია. ცხოვრების ტვირთისგან გასათავისუფლებლად აღსარების პარალელურად ადამიანები ჩანაწერებად აქცევენ ხოლმე წარსულს, მარტო თავისთვის წასაკითხ წიგნად ქმნიან. მწერლის ხელიდან გამოსული აღსარება კი ერთ კაცს აღარ ეკუთვნის, მხატვრული ტექსტია.

პირობითად, წიგნი ოთხ ნაწილად (თავად) არის დაყოფილი. თავები იყოფა დიდ და მცირე ფრაგმენტებად.

ფრაგმენტულობის მიუხედავად, რომანში იხატება საბჭოთა სოფელი, საბჭოური ეპოქა. თიანეთი მისი მცხოვრებლებით. ფრაგმენტულობა ბესიკ ხარანაულისათვის კონტექსტია, რადგან, როგორც მკვლევარი მანანა კვაჭანტირაძე აღნიშნავს: „90-იანი წლების პირველი ნახევრის კულტურული ცხოვრება საქართველოში შეიძლება დახასიათდეს, როგორც ფრაგმენტული, დაქსაქსული და ქაოტური“.

ამრიგად, ბესიკ ხარანაული ქმნის მემუარების უნიკალურ ფაქტურას, ის მეხსიერების უამრავ და სპონტანურ აფეთქებებს მხატვრულ სივრცეში უშვებს და მკითხველს „მემუარისტული მგრძნობელობის“ ახალ „შესაძლებლობებს“ უხსნის.

ძირითადი დასკვნები

➤ პოსტსაბჭოთა პერიოდის ლიტერატურული პროცესების ანალიზისას გამოიკვეთა მემუარული პროზის გააქტიურების ტენდენცია. ქართულ მწერლობაში მემუარული ლიტერატურის მოჭარბება განპირობებულია ისტორიული ფაქტორით. საბჭოთა კავშირის დაშლა და ეპოქალური ცვლილებები, კულტურის ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული პროცესები პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში მხატვრული შესაძლებლობების დაკნინებისა და დოკუმენტური პროზის აქტუალიზების წინაპირობაა. მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვისაუბროთ ჩვენი მწერლობის ახალ ეტაპზე, რომელიც ხასიათდება დოკუმენტურისა და მხატვრული ჟანრების სინთეზით.

➤ პოსტსაბჭოთა მემუარულ-ავტობიოგრაფიული პროზის კონკრეტული ასპექტების შესწავლამ გვაჩვენა, რომ მეხსიერების პოლიტიკა და ნაციონალური იდენტობის საკითხი მემუარული დისკურსის ძირითადი თემატიკაა. მეხსიერების პოლიტიკა განსაზღვრავს ნაწარმოების იდეას, წარსულ მოვლენათა შერჩევა ექვემდებარება ავტორის მორალურ-ისტორიულ შეხედულებებს. ისტორიაში ის ხედავს იმას, რაც სურდა რომ ყოფილიყო და არა იმას, რაც იყო. ანუ მემუარისტიკისათვის დამახასიათებელია ისტორიით მანიპულირება. ამდენად გურამ დოჩანაშვილის თუ ვახუშტი კოტეტიშვილის ან გოგი გვახარას მემუარები მკითხველს არ სთავაზობენ ისტორიული ფაქტების თანმიმდევრულ ჯაჭვს, არამედ მათი ხედვა, ისტორიის მანიპულირების მიზნით, ფოკუსირებულია კონკრეტულ ფაქტებზე. მაგალითად, ლეონიდ ბრეჟნევის სიკვდილი ან 9 მარტის აქცია თბილისში და ა.შ.

➤ მემუარული ნაწარმოებები: ვახუშტი კოტეტიშვილის „ჩემი წუთისოფელი“, ლევან ბერძენიშვილის „წმინდა წყვდიადი“ საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ტრავმული ფსიქოლოგიის დაძლევის ლიტერატურულ ხერხებზე. მემუარულ პროზაში სახეობრივ აზროვნებას რეფლექსიური,

ანალიტიკური და თხრობას ანაცვლებს მკითხველთან ინტერაქცია, რაც ტრავმული ფსიქოლოგიის დაძლევის ხერხია. ტრავმის დაძლევა მისი გადააზრებითა და გაცნობიერებით მიიღწევა. ტრავმული ფსიქოლოგიის თერაპია გამოიხატება წარსულზე წარმოდგენების განუწყვეტელ გადამუმავებაში. ის დაიძლევა არა დავიწყებითა და მისი ჩაკირვით, არამედ გაცნობიერებითა და ეთიკური შეფასებებით.

➤ მემუარის ქმნა ღრმა ფსიქოლოგიური იმპულსით არის მოტივირებული და ადამიანის სამყაროში კვალის დატოვების ამბიციას უკავშირდება. როცა თბილისის ომის შედეგად განადგურდა ვახუშტი კოტეტიშვილის წინაპრების ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობა, მატერიალური, ნივთიერი წყაროს საკომპენსაციოდ ავტორმა გადაწყვიტა მემუარული ტექსტის შექმნა და მხატვრული ლიტერატურის წყალობით ისტორიის შენახვა.

➤ რუსული კოლონიალიზმისა და საბჭოთა იდეოლოგიური წნეხის გამო ისტორიის გაყალბება შემდგომში ისტორიული თეთრი ლაქების ამოვსების აუცილებლობას სწორედ ლიტერატურის მისიად აქცევს. ისტორიული მეტაპროზა, როგორც მხატვრული მეთოდი, პოსტსაბჭოთა პერიოდის მემუარისტიკისათვის ამ ობიექტური ფაქტორით არის განპირობებული. ავთენტური ისტორიული პირების ქრონოტოპებად ქცევის საშუალებით ქართველი მკითხველის ცნობიერებაში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ კოლექტიური მეხსიერება ფორმირდება.

➤ მემუარული ტექსტების თემატური ანალიზისას ჩვენ გამოვკვეთეთ ქართულ-სომხური ურთიერთობის დისკურსი. ო.ჭილაძის, გ.გვახარიას და ლ.ბერძენიშვილის თხზულებათა მიხედვით მივედით შემდეგ დასკვნამდე, რომ მიუხედავად საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალიზმისა და საერთო სამშობლოს იდეისა, მასში შემავალ ცალკეულ ერებში აქტუალური იყო ისტორიული საზღვრების, კულტურის, ენის და დამწერლობის საკითხები. გამდაფრებული იყო იდენტობის განცდა და ეროვნული ღირებულებების შენახვის აუცილებლობის შეგნება.

➤ მემუარისტიკამ შექმნა ქალაქების, როგორც არტეფაქტების ლიტერატურული ვერსიები. თბილისი, როგორც მულტიკულტურული ფენომენი, უნიკალურია და მას თავისი არსებობის მანძილზე უკვე ფორმირებული სახე გააჩნია, თუმცა საბჭოთა ეპოქამ მას შესძინა ის, რაც მხოლოდ იმ პერიოდში შეიძლებოდა შექმნილიყო. მემუარისტიკამ, კერძოდ, ვახუშტი კოტეტიშვილის, გურამ დოჩანაშვილის, გოგი გვახარიას, დათო ტურაშვილის ნაწარმოებებმა ქალაქი დააფიქსირა კონკრეტული ეპოქალური სიმბოლოებით, რომელთა სემანტიკა საინტერესოა, როგორც კულტურული კოდი ლიტერატურულ ტექსტში. განვიხილეთ რა საბჭოთა კავშირის ერთიან სისტემაში ქალაქების ფუნქციური სემანტიკა, ქალაქი გავიაზრეთ, როგორც კულტურული სივრცის მოწყობის მნიშვნელოვანი კომპონენტი.

➤ მოგზაურობის ჟანრის ტექსტებმა საშუალება მოგვცა, მნიშვნელოვანი დასკვნები გაგვეკეთებინა ქალაქური სემიოტიკის მოკვლევის მიმართულებით. მოგზაურობის ფაბულაზე აგებული ლიტერატურული ნაწარმოების გმირი სულიერ მოგზაურობასაც გადის. მისი სულიერი ინიციაციის, ზრდის კონტექსტში მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს ესა თუ ის ქალაქი, გამომდინარე იქედან, სიმბოლურად არის ის გზის დასაწყისი, უფსკრული (დაცემა) ან მთაზე ასვლა-იერუსალიმი.

➤ გურამ დოჩანაშვილისა და ბესიკ ხარანაულის ავტობიოგრაფიული რომანები პოსტმოდერნისტული ტექსტებია, რომელთა ანალიზისას ჟანრთა მოდიფიკაციის საკითხები გამოვკვეთეთ. გამოვლინდა, რომ მემუარი გარდამავალი ჟანრების შერწყმით ხდება მეტაჟანრული ტექსტი. ის ჟანრთან მიმართებით პოსტმოდერნისტულ მეთოდებს ირგებს. მეხსიერების შერჩევითი ბუნება მემუარისტულ ტექსტებში არა მხოლოდ თემატურ – შინაარსობრივ პლასტს, არამედ ნაწარმოების სტრუქტურულ სახესაც განაპირობებს, რაც გამოიხატება: ფრაგმენტულობითა და ეკლექტურობით. პოსტმოდერნისტულია მემუარისტის დამოკიდებულება მხატვრული ტექსტის კომპოზიციური აგების პროცესშიც. კერძოდ: ციტაცია, ინტერტექსტი, მეტაპროზულობა, ავტორის ნილაბი და სხვ. აგრეთვე, ხშირად ერთი ნაწარმოები მოიცავს: ნოველას, პორტრეტების კრებულს, პირად წერილებს,

ესეს, ინტერვიუს და ა.შ. ამრიგად, მემუარული პროზა სხვადასხვა მხატვრული კონვენციით იქმნება, ეს დამოკიდებულია მწერლის არჩევანსა და მოდურ ლიტერატურულ ესთეტიკაზე. მწერალი ასევე თავისუფალია ქვეყანების არჩევის დროს.

➤ მეხსიერების შერჩევითი ბუნების გამო მემუარული ნაწარმოებისთვის ნებისმიერი ისტორიოგრაფიული თუ ბიოგრაფიული ლოგიკა პირობითია. ამიტომაც მემუარული რომანების სიუჟეტი ეპიზოდებს შორის არამოტივირებულ ბმებს აყალიბებს, რაც ტექსტის არასწორხაზოვან, ორნამენტულ სტრუქტურას ქმნის. ყოველივე ეს რომანის კლასიკური ფორმის მოდელირების საფუძველი ხდება.

➤ გარდამავალი ჟანრების, კერძოდ მხატვრულ–დოკუმენტურის, მიმართ საზოგადოების ინტერესი და შემდგომში მისი კომერციალიზაცია პოსტმოდერნიზმის მარკერია.

➤ მემუარისტიკა საინტერესო მასალაა მეხსიერების კვლევებისათვის. მის მხატვრულ ქსოვილში წარმოდგენილია ისეთი მოვლენები თუ საგნები, რომლებიც კოლექტიური მეხსიერების, ისტორიული მეხსიერების კუთვნილებაა. მემუარისტიკის სემიოტიკური ანალიზი მასში მოცემული მარკერების გაშიფრვით უნიკალურ სოციო–კულტურულ სურათს აღადგენს. გამოვკვეთეთ მეხსიერების ფენომენის სუბიექტურობა, ფრაგმენტულობა და შერჩევითობა. აქედან გამომდინარე, დამახსოვრებას და დავიწყებას მისი ემოციური ბუნება განაპირობებს, ის დაზღვეული არაა მანიპულაციისა და დამახინჯებისაგან. ამდენად, აწმყოს ინტერესების შესაბამისად იცვლება კოლექტიური მეხსიერებაც. გოგი გვახარიას, ვახუშტი კოტეტიშვილის, სალომე ზურაბიშვილის, თამაზ ჭილაძის მემუარული ნაწარმოებები არაერთ ისტორიულ პირს აცოცხლებს და მკითხველის მეხსიერების პროვოცირებით მათი რენომეს დეკონსტრუქციასა თუ გამყარებას ემსახურება. მაგალითად, „ჩემს წუთისოფელში“ გალაკტიონი, ივანე ჯავახიშვილი პერსონაჟებია, ფრიდონ ხალვაშის „ომრი“ – გიორგი ლეონიძესა და ახმედ მელაშვილის სახეებს აცოცხლებს.

➤ ეროვნული ლიტერატურა, ლოკალურ ისტორიულ თუ სოციალურ სივრცეში შექმნილი მემუარისტული ტექსტები იმ ეპოქის რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა, რომელ პერიოდსაც ეხება ავტორი მოგონებებში. ფრიდონ ხალვაში რელიგიური და ეროვნული იდენტობის თემას შლის აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისა და შემდგომი ინტეგრაციის ქრონიკებით, სალომე ზურაბიშვილის მემუარები საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვასა და ქართული ემიგრაციის ცხოვრებას გვიხატავს, ვახუშტი კოტეტიშვილი 1937 წლის რეპრესიების სიმძაფრეს შეგვაგრძნობინებს, გოგი გვახარია საბჭოთა კავშირის რღვევის მემატიაწა და ა.შ.

➤ ქართული პოსტსაბჭოთა მემუარისტიკა ხასიათდება მნიშვნელოვანი ანტიკოლონიური ნაციონალიზმის პათოსით, რადგან მემუარული პროზა, ძირითადად, კოლონიის შიგნით არსებულ წინააღმდეგობაზეა აგებული. ის არა მხოლოდ ასახავს ნაციონალურ ინტერესებს, არამედ თავადაც მონაწილეობს ამ თვალსაზრისების ფორმირებაში. ეროვნული მოძრაობა მემუარულ ლიტერატურას იყენებდა წარსულის გაცოცხლების მიზნით, ბუნებრივია, ამ პროცესში აქტიურად გამოიყენება მეხსიერების პოლიტიკა.

➤ ჰერმენევტიკული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მემუარისტიკის ერთ–ერთი დამახასიათებელი ნიშანი: ავტორის ინტერაქცია პოტენციურ მკითხველთან დროთა კავშირის აღდგენის მიზნით. ტექსტის ინტერპრეტაცია წარმოადგენს მუდმივ დიალოგს აწმყოსა და წარსულს შორის. ტექსტის გაგების შესაძლებლობა განსაზღვრულია წარმოდგენილ ეპოქასთან მკითხველის მიმართებით. ის შესაძლებელია იყოს ავტორის თანამედროვეცა და მომავალი თაობის წარმომადგენელიც, რაც კითხვის პროცესში სხვადასხვა ხედვას აყალიბებს. ასე ერწყმის ერთმანეთს ისტორიული და თანამედროვე ხედვის ჰორიზონტები.

➤ მემუარული პროზის ჰერმენევტიკული ანალიზის პროცესში გამოიკვეთა მხატვრული ნაწარმოების გაგების ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი: ავტორი და მკითხველი. რადგან ჰერმენევტიკული წრე კითხვის

პროცესში ყალიბდება, მკითხველი გვევლინება ლიტერატურის კვლავწარმოების მნიშვნელოვან ფაქტორად. კონკრეტული ინტერპრეტაციის ვარიანტს მკითხველის ინტელექტთან ერთად ის გარემოებაც განსაზღვრავს, მემუარულ ტექსტს ეპოქის თანამედროვე, ფაქტების თვითმხილველი, კითხულობს თუ მომავალი თაობის წარმომადგენელი. ამდენად, ავტორის ხელიდან გამოსული ლიტერატურული ტექსტი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს დასრულებულ პროდუქტს, რადგან კითხვის პროცესში თითოეული მკითხველი განსაზღვრავს ამ ნაწარმოების მისეულ უნიკალურ ვერსიას. ავტორის მიზანი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიღწეული, როცა მკითხველი მომზადებულია საიმისოდ, რომ მაქსიმალურად გაიაზროს ის კოდები, რომლებსაც ავტორი ქმნის და ტექსტში გვთავაზობს. მემუარისტიკის ჩვენეულმა კვლევამ აჩვენა, რომ მემუარები არის იმ ტიპის მხატვრული ტექსტი, რომელშიც მკითხველის გამოწვევა და კვლავწარმოების პროცესში ჩართვა ბუნებრივად ხორციელდება გამომდინარე იქიდან, რომ ადრესატი (მკითხველი) იცნობს იმ საზოგადოებრივ მოვლენებს, რომლებიც ავტორს მხატვრული გადამუშავების საგნად გაუხდია. მოგონებათა ტექსტის ინტერპრეტაციის ძირითად ფაქტორს, გარდა ავტორისა და მკითხველისა, წარმოადგენს მუდმივი დიალოგი აწმყოსა და წარსულს შორის. პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის ერთი კულტურულ-ისტორიული კონტექსტიდან მეორეში გადანაცვლების პროცესს. დროითი ინტერვალი კი ერთგვარი ფილტრია, თუმცა არ აჩენს უფსკრულს ავტორსა და მკითხველს შორის. მაგალითად, გელა ჩარკვიანის „ინტერვიუ მამასთან“ მოგვითხრობს ისეთ მოვლენებზე, რომლებიც თანამედროვეთათვის შეიძლება იყოს განსაკუთრებით საინტერესო, ეს ინტერესი გამოწვეულია საბჭოთა კავშირში ინფორმაციის არასაჯაროობით. თავისუფალი მასმედიის არარსებობის პირობებში ისეთი მოვლენები, რომლებიც ხალხის ცხოვრებაზე გავლენას ახდენდა და საშინაო პოლიტიკას განსაზღვრავდა, მიუწვდომელი იყო ფართო მასებისთვის. ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების წინაპირობები უცნობი იყო ხალხისათვის. ამდენად, ბუნებრივია, ეს ნაწარმოები განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს იმ მკითხველში, რომელიც საბჭოთა

მოქალაქე იყო და თავის დროზე ვერ დაიკმაყოფილა ეს ინტერესი. „ინტერვიუ მამასთან“, ცხადია, ნაკლებად გასაგები იქნება ახალი თაობის წარმომადგენლებისათვის, თუმცა მათ სხვაგვარი დასკვნების გაკეთების საშუალება ექნებათ აწ უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ სახელმწიფოზე და, შესაბამისად, მათი ინტერპრეტაცია სხვა კუთხით იქნება საინტერესო.

➤ დროითი დისტანციის ფაქტორი განიცდება ვახუშტი კოტეტიშვილის მემუარების კითხვისას. ეს ნაწარმოები, უფრო ზუსტად ავტორი, ერთი კულტურული სივრცის გადანაცვლებას მეორეში თხრობის ძირითად დისკურსად აქცევს და ახალი საქართველო, მის მიერ პირობითად გამიჯნული ძველისგან, წარმოდგენილია სწორედ დიქტომიაში. ძველების ზნეობრივი პორტრეტები, მათი ეთიკური, კონვენციური თუ ესთეტიკური ღირებულებები „ახალის“ ხედვის კუთხითაა გამოსახული. ის, რომ ნუსია „ჩულქების“ ჩაცმის გარეშე სტუმარს კარს არ უღებს - წარმოადგენს კულტუროლოგიურ მარკერს. ეს პასაჟი ავტორის მიერ თანამედროვეთათვის საგანგებოდაა აქცენტირებული. ამავე დროს, საგულისხმოა ისიც, რომ მემუარისტიკა გარკვეულად დაზღვეულია დიდი დროითი დისტანციისაგან, თხრობის საგანი შეუძლებელია გახდეს შორეული ან ისტორიული წარსული, იმ პირობიდან გამომდინარე, რომ ავტორი თავისი თანამედროვეობის ამბებს აღწერს.

➤ ჰერმენევტიკისათვის ტექსტი არ არის ზეისტორიული და ზეკულტურული ჭეშმარიტება – ამ თეზისის არგუმენტად მივიჩნევთ მემუარულ ტექსტებს. ჩვენ მიერ განხილულ ნაწარმოებებში სწორედ ეპოქა და კულტურა წარმოადგენს მთავარ საკვლევ ობიექტს და კვლევის შედეგად ჩვენ საშუალება მოგვცა მეოცე საუკუნის რეკონსტრუქციისა. მემუარისტიკამ ისტორიის თეთრი ლაქები ამოავსო და კულტურული სემიოტიკით საშუალება მოგვცა გაგვეაზრებინა ისტორიული კონტექსტი, რაც გადმოცემულია სემიოტიკურ ანალიზსა თუ სხვა დისკურსულ თემატიკაში.

➤ მემუარისტული ნაწარმოები პირველი პირით თხრობას გულისხმობს, თხრობის ცენტრალური ფიგურა მთხრობელი პერსონაჟია, რომელიც პირველი პირით გადმოგვცემს მოვლენებს, ამდენად მემუარების

ნარატორი ჰომოდიეგეტურია (პერსონაჟია; I პირი). ის ექსპლიციტური მთხრობელია, რადგან საკუთარ შეხედულებებს, გემოვნებასა და სუბიექტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ამბავი ნარატორის ხედვის არედანაა წარმოდგენილი. მემუარისტული ტექსტისათვის დამახასიათებელია ნულოვანი ფოკალიზაცია. ნაწარმოების ენა და სტილი მთხრობელი პერსონაჟის პერსპექტივით არის განსაზღვრული. ბუნებრივია, გამოიყენება შინაგანი მონოლოგის ტექნიკა, რაც უფრო ეფექტურად აღსარებით მემუარისტულში წარმოჩნდება, გურამ დოჩანაშვილისა და ბესიკ ხარანაულის ავტობიოგრაფიულ რომანებში, კერძოდ, „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“ და „ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისთვის“.

➤ ნულოვანი ფოკალიზაციის ტექნიკა დაკავშირებულია ისტორიულ დრო-სივრცესთან. დრო-სივრცის მოწყობით ყალიბდება ლიტერატურული ქრონოტოპი. ჟანრული კოდიდან გამომდინარე, დრო მემუარისტულში ყველაფრის განმაპირობებელია. დრო განსაზღვრავს მის სულს, იდეას, თემატიკასა და ენას. ქრონოტოპი, მემუარისტულში, პირველ რიგში, თვით მთხრობელია, რომელსაც თხრობის პროცესში აყალიბებს ავტორი და მკითხველი. ნარაციის, თხრობის დროს მთხრობელ-პერსონაჟის რეფლექსურობისაკენ მიდრეკილების გამო მემუარებში თხრობის დრო აჭარბებს ამბის დროს. მემუარული ტექსტების ნარატიული სტრუქტურა მრავალფეროვანია, თუმცა მაინც არის შესაძლებელი ზოგადი მახასიათებლების გამოყოფა, კერძოდ: ჰომოდიეგეტური, ექსპლიციტური, მთხრობლის მიერ პერსონაჟის პერსპექტივით თხრობა, ნულოვანი ფოკალიზაცია, შინაგანი მონოლოგები, სემანტიკური დრო-სივრცე, თხრობის დროის უპირატესობა ამბის დროსთან, კომპოზიციური ასისტემურობა, ლიტერატურული ტექსტის ენობრივი სტილი, დრო-სივრცული ორგანიზება მთხრობელ-პერსონაჟის პერსპექტივითაა გაერთიანებული. ამგვარ ნარატიულ სტრუქტურას საზოგადოებრივ-ისტორიული ფონი და ნაწარმოების პრობლემატიკა განსაზღვრავს.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. „კულტურული გლობალიზაციის პროცესების ასახვა ქართულ მემუარულ-ავტობიოგრაფიულ პროზაში“. VIII საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. „ნაციონალური ლიტერატურები და კულტურული გლობალიზაციის პროცესი“. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2014. გვ. 412–419.
2. „ქართული ავტობიოგრაფიული პროზის სტრუქტურა და შინაარსი“. ფილოლოგიური მაცნე II. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი. თბილისი. 2015. გვ. 96–105.
3. „ვახუშტი კოტეტიშვილის „ჩემი წუთისოფელი“ – ქართული მემუარისტიკის საინტერესო ნიმუში“. საერთაშორისო კონფერენციის მასალები „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში – II. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ბათუმი. 2014. გვ. 12–15.
4. „მწერლობა და პუბლიცისტიკა სიცოცხლისათვის (ოთარ ჭილაძის პუბლიცისტური წერილი „სიცოცხლისათვის“). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „ჩვენი სულიერების ბალავარი VII“. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2015. გვ. 63–67.
5. „დიდი ქალაქების სემიოტიკა მემუარისტიკაში“. სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა XV“. თბილისი. 2015. გვ. 7–15.

Batumi Shota Rustaveli State University

Faculty of Humanities

Shorena Bolkvadze

Memoirs-autobiographical discourse of Georgian literature of the Post-Soviet period

Specialty - Literary studies

A n n o t a t i o n

of submitted thesis work for receiving an academic degree

of Doctor of Philology

Batumi – 2017

The thesis work has been implemented on faculty of Humanities of Batumi Shota Rustaveli State University.

The scientific adviser: Shorena Makhachadze Candidate of Philological Sciences, Professor of Batumi Shota Rustaveli State University

Introduction

The general characterization of work. Present thesis work is devoted to Georgian artistic-documentary prose of the Post-Soviet period that has been combined in memoirs-autobiographical discourse.

In the work, we simultaneously have determined structural peculiarities of memoirs, as well as peculiarities of its content. During studying memoirs, we are analyzing both sides, artistic, as well as documentary side. We'll determine its place in the history of literary development, which will allow us to comprehend memoirs in the evolution of Belletristic genre.

Topicality of the theme. In order to envision the whole image of the world literature of the twentieth century, comprehending the artistic-documentary works in the context of the literature is necessary, so-called Faction, artistic text, in which everything is perfectly in line with reality: the characters are real, the scene exists (or existed), facts are authentic and the dates can be verified with the help of biographies and history textbooks. All other is the figment of the imagination. The term – “Faction” – is built on wordplay: English “fact” – fact, faction – Invention, fiction, belles-lettres. Among such texts a visible place is taken by the memoirs - memories of past decided in the writer's creative consciousness. The authenticity of the depicted image ensures fierce interest and the quality of readers' emotional perception. The merger of real facts with the riches of artistic-expressive methods represents the most important dignity of artistic-documentary prose, so far as it is presented in narrative form, that uses all technical means characterizing belles-lettres, and is as close to the facts as possible. To date, the corps of memoirism created by the writers and people of other professions has not been sorted. The interrelationship between the fiction writing and

memoirs is very poorly indicated in the criticism, moreover, it is not considered as the symptomatic event of the artistic-documentary prose.

At this stage, studies of memoirs prose are not numerous, which did not give a complete picture of its themes and poetics. Special monographic works, dedicated to the poetics of memoirism, almost doesn't exist; furthermore, they're altogether unpolished. Therefore, the research topic is actual: It is necessary to fill, deepen and systematize the knowledge about literary memoirism.

The novelty and the main results of the work. The work presents the attempt of studying Georgian artistic-documentary, memoirs prose of the Post-Soviet period. As we mentioned above, the thorough work of extensive volume about the literature of this genre from the other periods of Georgian literature is not created yet, certain period is unpolished (at least, according to our information). We tried to present significant aspects of memoirism of analyzed era: The narrative structure, the essential problems and genre transformations, as well as collective and historical memory, if we'll analyze this interesting corps of Georgian prose in socio-cultural context.

Thus, in the qualification work is presented the first attempt of studying the memoirism of Post-Soviet period.

Scientific and practical value of the work. The work might be interesting for the researchers of artistic-documentary prose, students and wide public of readers, also it might be useful for specialists interested in the issues of Literary Theory, memory studies and culturology.

The object of the research is texts of the Post-Soviet artistic-documentary prose chosen by axiological method, in particular: "Chemi Tsutisopheli" ("My world") of Vakhushti Kotetishvili, "Tsremliani satvale" ("Tearful glasses") of Gogi Gvakharia, "Tsminda tskvdiadi" ("Saint gloom") of Levan Berdzenishvili, "Sakartvelosken" („Towards Georgia“) Salome Zurabishvili, "Otartan ertad" („With Otar“) of Tamaz Chiladze, "Tsa mitsidan itskeba" ("The sky begins from the land") of Otar Chiladze, "Gudamakreli iebi" ("Violets from Gudamakari")

of Goderdzi Chokheli, "Iko da ara iko ra" („Once upon a time”), "Tibeti ar aris shori" (“Tibet is not far away”) of Davit Turashvili, "Rats uphro makhsovs da metad magondeba" ("What I remember most and recall more") of Guram Dochanashvili, "Epigraphiebi davitskebuli sizmrebistvis" ("Epigraphy for forgotten dreams") of Besik Kharanauli, "Interviu mamastan" ("An interview with father") of Gela Charkviani".

The aim of the research. The aim of our research is to highlight the significant aspects of specifics of memoirs genre, to focus on issues of poetics - on those important markers, which makes memoirs closer to fiction prose. The research also includes issues of culturology, in the directions of memory, collective memory and postcolonial thinking.

The research methodology. In the work, during the interpretation of the texts, is envisaged complex approach of literary studies. Considering the philosophical and socio-psychological background of the era, in the work is used historical-functional, typological and structural methods. The analysis of a literary text, basically, represents the synthesis of narratology and literary hermeneutics.

Historical-functional approach is based on the modern historical poetics, which does not consider categories of literary processes in general theoretical section, but in the form in which it exists in a certain era.

Typological approach represents selection of homogeneous texts of genre. Research of memoirs with the axiological method allows us to give the preference to one work against another, also take into account the sub types inside the genre.

The works of well-known researchers in the fields of Literary studies, Philological hermeneutics and Narratology, as well as semiotics and discourse theory represents the theoretical basis of the work. Also, the works theorists of memory research, among them: M. Bakhtin, I. Lotman, H. Gadamer, Jeanette, Assmann, R. Barthes, Nora, Foucault and others' studies.

The volume and structure of the work. The work consists of an introduction, chapter, paragraphs, conclusions and the list of references. The volume of the whole doctoral thesis is 130 pages of computer text.

The goals and objectives of the thesis led to the following structure:

Introduction

Chapter I – Memoirism and its research methodology

§ 1. Memoir and its types

§ 2. Hermeneutical analysis

§ 3. Bakhtin theories

§ 4. Narratological analysis

§ 5. Semiotic analysis

Chapter II – General overview of the history of Georgian artistic-documentary prose.

§ 1. Travel genre in Old Georgian Writing

§ 2. Anti-colonial Discourse of Georgian memoirism

§ 3. General tendencies of soviet memoirism

Chapter III – The Post-Soviet period and memoirism

§ 1. The Post-Soviet era

§ 2. Faces of Post Soviet memoirs prose

§ 3. Poetics of the headline

Chapter IV – The historical discourse in memoirism

§1. The historical discourse in memoirism

§2. “Chemi Tsutisofeli” (“My World”) of Vakhushti Kotetishvili

§3. Publicism of Otar Chiladze

§ 4. "Interviu mamastan" ("An interview with father") of Gela Charkviani

Chapter V - Reconstruction of the era

§ 1. "Tsremliani satvale" ("Tearful glasses") of Gogi Gvakharia

§ 2. "Tsminda tskvdiadi" ("Saint gloom") of Levan Berdzenishvili

§ 3. Semiotics of the large cities (for the reconstruction of the Soviet reality)

§ 4. Discourse of Georgian-Armenian relations

Chapter VI – Postmodernist memoirism

§ 1. Postmodernism, as a literary direction

§ 2. "Rats uphro makhsovs da metad magondeba" ("What I remember most and recall more") of Guram Dochanashvili

§ 3. "Epigraphebi davitskebuli sizmrebistvis" ("Epigraphs for forgotten dreams") of Besik Kharanauli

Key Findings

Bibliography

Chapter I – Memoirism and its research methodology

§1. **Memoir and its types:** According to the classification of modern theory of literature, memoirs are in the spectrum of documentary, epic genres. It is explained as the

publicistic work of epic genre. It is noted that, unlike the imaginative literature, memoirs have the cognitive function. "Memoirs (French. Memoiret - Memoir) is the publicistic work of epic genre. They set out the stories of the past, the participant or eyewitness of which was the author himself." The cognitive function of the memoirs is defined by the factor, that is preferred by the author: Personal, description of autobiographical episodes of transferring the event of the social significance.

The remembrances are singled out as the one of the genres of the memoirs. In the memoirs of this type author is informing the reader about the facts that took place in the specific period and is analyzing them.

The autobiography is in the list of the documentary epic genres too. It is distinguished by the fact that the person is the center of the narrative, and not a general reality. The autobiography, which is written in the important time of transition in the writer's life, is called a confession.

In the "Basics of the theory of literature", which was published by the group of authors in 1972, the memoirs are regarded in the cycle of documentary epic genres, alongside with the essay, biography, autobiography and travel. The publication says that the memoir without the storyline, in chronological order tells the important stories of the past, in which the author himself was the participant. Memoirs are characterized by the narrative of the first-person and it is essential to protect in it the documentary authenticity. Thematically memoir is diverse.

In the circumstances when for the documentary prose the artistic reflection of reality has become a priority; an existing classification became outdated. At present, we do not have the distinct structure tailored to the modern literature of this genre. In the modern writing was created the range of types of memoir prose. If till now we mainly had works of autobiographical content based on the chronological line of memoirs, now we have a **fragmented, more like essays, presented in the format of the interview, fiction, fulfilled with the technique of historical metafiction, the subjective versions** obtained through the artistic processing of documentary material. The homogeneous texture of the study material requires

trying and adapting various methods of research, to sort and systematize this kind of literature (thereby we justify a multitude of research methods).

§2. Hermeneutical analysis: The memoir, which has the artistic value, are much more subject to interpretation than the text that lacks the artistic value. The author and the reader are the most important factors of the replication of literature, considering this, as the research method we are choosing the literary hermeneutics. We consider that an interpretive model is tailored for the autobiographical-memoir prose: the concept and literary hermeneutics of Hans-Georg Gadamer. Basically, we rely on the work of S. Poster and J. Robinson, where the concept and the history of the hermeneutical directions are studied in detail and comprehensively.

The Hermeneutic tradition has the three significant directions: **philosophical, linguistic and literary.**

Proceeding from the concept of philosophical hermeneutics, the literary text is changeable and does not represent finished product. The aim of the author can only be considered as achieved when the reader is ready to accept and share it. The memoirism, by its nature of essay, with its demand of restoration prospect of the time connection, is interactive in nature. Hermeneutics methodology is directed toward the reflection of this process. The horizon of interpreter's vision is constantly bordered by the horizon of the text and represents a constant dialogue with it. The interpreter is asking questions to the text and vice versa, the text is asking questions to the interpreter.

Thus, for Gadamer the interpretation of the text is the constant dialogue between the present and the past, where the definiteness of the present is only possible beyond the past. The opportunities of the interpretation of the memoirs text is determined by the time distance. The perception is invariant with respect to the fact - the coeval of the author is reading the text or representative of the other generation. In many cases this factor is felt by the authors and are considered, that's why they often insert the instructions, their positions to put the interpretation in the desired flow. The principal importance is given to the process of moving a text from one cultural - historical context to another.

§ 3. Bakhtin theories: As the main challenge of research of memoirism was considered defining the genre, because the memoir, with the number of features, is close to novel, the concepts of **Bakhtin** are interesting with respect to the memoirism. As we know, Bakhtin, has developed the research methodology of the genre based on the novel.

Bakhtin has reviewed the construction, underpinned by formalists with the inner laws of the literature of the genre in the diachronic perspective, as permanently creating system that is changing considering historical and cultural values inherent for the specific epoch.

According to the opinion of Bakhtin, studying the art of word represents the genre as the certain types of expressions. Proceeding from the fact that each era has something to say and has different manner expression, genre represents the form of word, although it remains in the same linguistic space.

Bakhtin thought that one of the disadvantages of the research methodology was the fact that from ancient times genres have been studied in terms of their literary and artistic specificity and not as certain types of expressions.

In Bakhtin theory, the sociality idea of the discourse has got in touch with the idea of genre, because the genre appears as a social structure, which is in irreversible attitude with individual talents.

§ 4. Narratological analysis: The process of studying the literary text is difficult, that's why we've considered the complex approach of literary studies. While using the narratological terms and theories, mostly we rely on the work of G. Genette "Narrative discourse" and M. Ian, who combines complexly theoretical study accumulated in narratology.

The basic concepts of narratology are the storyline and the fable. Fable - consistency of events, as it "really happened", storyline - how is told about it in the text. Something that is told is stamped in the notion of history, how the stories are told is remarked by the notion of the discourse. At the same time, the discourse is the broader concept than the "storyline".

Often I and III-person narrator is picked out, G. Genette does not share this fact. In his opinion, for the writer is important not the grammatical form, but the narrative position.

The memoirist work is characterized the narrative from the perspective of author-character and zero focalization. The language and style of the work is defined by the perspective of the author-narrator-character.

In the narrative text, the speech of character and narrator is especially important. Representation of speech, thought and consciousness. In XX century prose, representation of the mental processes is actual, that's why forms, such as, inner monologue is popular. Inner monologues can often be found in the autobiographical prose, which is the representation of thoughts and internal states of the character.

§5. Semiotic analysis: In order to explain the specifics of the genre of the memoirs texts, we considered that semiotic concept of textual codes would be important. Traditionally definition of semiotics begins with the description of sign. According to Ferdinand de Saussure, the sign consists of two components: signified (idea, concept) and the designator (the acoustic image, sound); Their integrity creates the sign. According to the theory of semiotics, the signs are the representation of things around us, of the universe. People perceive the reality only through these signs. We need signs (representations) for transferring the certain information. Any connection of the signs cannot ensure the transmission of the information. The coded system of signs, where signs are united by certain rules, can transmit the message. Creation of the text and interpretation has the significant meaning in the Semiotics theory. Creating the text is encoding, and recognition of the text occurs by identification of codes and their decoding. Thus, the literary text, as an object implies in itself a specific code or codes, understanding can be achieved through encrypting. Taking into consideration the characteristics of the genre helps us in the process of interpretation of work.

Chapter II – General overview of the history of Georgian artistic-documentary prose

§1. Travel genre in Old Georgian Writing: In general, actualization of documentary prose is linked to the epochal crisis, significant social changes generates ambitions in people to finding themselves, gaining the fame. The fact that author does not want to remain neutral, impersonal historian and creates the memoirs work with the individual and unique manner is determined with the whim of self-expression, that appeared with the momentum of impressive historical chronicles.

